ახალი განათლება

14-20.03.2019

№8 (842) გაბოლის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

გვერდი 8

ინტერვიუ ქეთევან ჭკუასელთან

თუ მასწავლებელი არ გყავს, ქვეყანას ვერ აშენებ

ახალი სკოლის მოდელი

თეა ბაბისონია: *ახალი სკოლის მოდელი ის ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ახალი ინერგება და აქამდე მასწავლებლებს ისაფერი უჯეთებიათ. ძალიან ბევრი იმუშავეს, ბევრი გააკეთეს, მაგრამ ახალი მოდელი იმით არის ჯარგი, რომ ამ ყველაფერს ორგანიზებული სახეს აძლევს, მათ აღარ უნევთ ქაოსური მუშაობა. მასწავლებელი მშვიდია, თავის სასწავლო პროცესს თვითონ მართავს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის სისტემიდან ამოვარდნილი.*

ნიკო სილაბაძე: *სულ ცოტა, სამჯერ მაინც შეიცვალა და არსობრივად დაიხვენა ის ძირითადი ინსტრუმენტები, რომელიც ახლა სამუშაოდ გვაქვს აღებული. პილოტირებამ ისიც აჩვენა, რომ თვისებრივად და არსობრივად არაფერი შეცვლილა. ყველაზე მთავარი ეკითხვაა, როგორ შეძლოს მასწავლებელმა მოსწავლეებამდე მთავარი მიზნების უფრო გასაგებად და საინტერესოდ მიტანა.*

გვერდი 2

ფქი ყlսումը

სოფელ დარიქოვის
საჯარო სკოლის მასწავლებლის,
ტატუ ბარაბეზიანის
გაკვეთილი მათემატიკაში

გვერდი 5

ქართული პარლამენტარიზმი – 100

რეფორმა

ახალი სკოლის მოდელი

რა იცვლება სკოლისთვის, მასწავლებლისთვის, მოსწავლისთვის

ლალი თვალაბეიშვილი

„ახალი სკოლის მოდელი“ განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი მიზანია პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეს 21-ე საუკუნის რეალობისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მისცემს. ეს სიახლე I-IV კლასებს შეეხება, მომზადდა სასკოლო კულტურისა და მე-4 კლასის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასების ინსტრუმენტები, საპილოტე რეჟიმში, უკვე გამოიცადა და დაიხვეწა. შემდეგი ეტაპია 50 სამიზნე სკოლაში არსებული საწყისი მდგომარეობის შეფასება და შესაბამისად, განვითარებაზე ორიენტირებული ცვლილებების შეტანა. სასკოლო კვლევის კულტურის შეფასება სამიზნე სკოლებში უკვე დაწყებულია. ტესტების მომზადება დასრულდა და, უახლოეს მომავალში, ამავე სკოლებში, საგნობრივი აკადემიური მიღწევებიც შეფასდება. სამიზნე სკოლებში ეს შეფასება ყოველწლიურად ჩატარდება, მისი მიზანია წინსვლის გაზომვა და საჭიროებების დადგენა სათანადო დახმარების გასაწევად. შეფასების კომპონენტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები უძღვებიან.

„ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვისთვის პედაგოგები და სკოლები აქტიურად ემზადებიან. 50 სკოლის მხარდამჭერი ჯგუფების მომზადებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასრულდა ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც, მხარდამჭერი ჯგუფები გადამზადდნენ. ტრენინგი რამდენიმე მოდულისგან შედგებოდა, მომავალში მისი ჩატარება რეგიონებშიც იგეგმება.

მხარდამჭერი ჯგუფების მთავარი ამოცანაა, დაეხმარონ სკოლებს სასკოლო კლიმატისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. ისინი, I-IV კლასების პედაგოგებთან, სკოლის ბაზაზე, ქოუჩინგის პრინციპით იმუშავებენ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვა; სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება; ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში.

ტრენინგებს უძღვებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ექსპერტები და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერები. მხარდამჭერი ჯგუფები, ეტაპობრივად, მუშაობას მათთვის შერჩეულ სკოლებში განაგრძობენ.

რას შეცვლის ახალი სკოლის მოდელი სკოლისთვის, მასწავლებლისთვის, მოსწავლისთვის? მოახდენს თუ არა სასიკეთო გარდატეხას ზოგადი განათლების სისტემაში? რით იყო საინტერესო მხარდამჭერი ჯგუფებისთვის ჩატარებული ტრენინგები? – ამ შეკითხვებით მივმართეთ ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს.

„ახალი სკოლის მოდელი არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ახალი ინერგება და აქამდე მასწავლებლებს არაფერი უკეთებიათ. ძალიან ბევრი იმუშავეს, ბევრი გააკეთეს, მაგრამ ახალი მოდელი იმით არის კარგი, რომ ამ ყველაფერს ორგანიზებულ სახეს აძლევს – რამდენიმე მიმართულება რამდენიმე ცნების სახით ყველა საგანში, რაზეც უნდა იმუშაოს მასწავლებელმა მთელი წლის განმავლობაში. მას აღარ უწევს ქაოსური მუშაობა, დღეს ეს გააკეთოს და ხვალ ის, იფიქროს იმაზე, რომელი უნარ-ჩვევა განუვითაროს მოსწავლეს, ცოდნა მისცეს თუ ტექსტი მოასწროს (ქართულის სახელმძღვანელოში იმდენი ტექსტია), იგი თავისუფლდება ამ ყველაფრისგან, იცის, რომ აქ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რამდენი ტექსტიც არის ქართულის სახელმძღვანელოში, იმდენი მოასწროს, მთავარია, მოსწავლეს მისცეს ყველაზე მნიშვნელოვანი, თუნდაც ის უნარ-ჩვევა, რაც მას ნებისმიერი ტექსტის წაკითხვისას გამოადგება. ლოგიკური აზროვნების თვალსაზრისითაც, ნებისმიერ საკითხზე მუშაობისას, მოსწავლეს სწორი წარმოდგენები და შეხედულებები ჩამოუყალიბოს. ასაკის მიხედვით, რამდენიმე მთავარი საკითხია ცნებების სახით გამოყოფილი, რაზეც ამ ოთხი წლის განმავლობაში მუშაობენ. მასწავლებელიც მშვიდია, თავის სასწავლო პროცესს თვითონ მართავს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის სისტემიდან ამოვარდნილი. ძალიან მარტივდება საგანთაშორის ინტეგრაცია, თემები და ცნებები ისე უკავშირდება ერთმანეთს, რომ მასწავლებელი ადვილად ახერხებს ერთი საკითხის სხვა საგანთან დაკავშირებას, ტრანსფერის არეალის ცალკე გამოკვეთით და ა.შ.“ – ამბობს **თეა გაბისონია**, თბილისის 151-ე საჯარო სკოლის პედაგოგი.

„ნებისმიერი ახალი მოდელი, განსაკუთრებით განათლებაში როცა შემოდის, რა თქმა უნდა, ეფუძნება წინარე კვლევებს, რომლებიც, თავის მხრივ, გულისხმობს კონკრეტული პრობლემების გამოკვეთას და შემდეგ მათი მოგვარებისკენ, დალაგებისკენ მიმართულ ქმედებას. უკვე წლებია, საკმაოდ კარგად გამოკვეთილია პრობლემები, ერთ-ერთი, მათ შორის, არის საკმაო დაშორება გრძელვადიან მიზნებთან – ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს ცოდნის ადაპტირება, ტრანსფერი ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და სათანადო უნარებად ჩამოყალიბება, თითქოს დაიკარგა კავშირი მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას შორის. უფრო მეტი აქცენტი დეკლარატიულ ცოდნაზე კეთდება. რა თქმა უნდა, არის მცდელობა, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს უნარები, ანუ მუშაობა პროცედურული ცოდნისკენ იყოს მიმართული და იმ მოსაზრებასაც ვეთანხმები, რომ კარგი პედაგოგები ყოველთვის, ყველა დროში ძალიან კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, თუმცა, ეს ახალი მიდგომა მათ ცოტა ახალ მიმართულებას აძლევს. კერძოდ რას? – სწორება იყოს გრძელვადიან მიზნებზე, არ ჩავიციკლოთ მოკლევადიან, კონკრეტულ, საგაკვეთილო ქვემიზნებზე. ამ გრძელვადიან მიზნებზე სწორებით უნდა გააქტიურდეს პირობისეული ცოდნა და დავეხმაროთ მოსწავლეს გაიაზროს მიღებული ცოდნა-უნარების ღირებულება – რაში სჭირდება, როგორ გამოიყენებს ცხოვრებაში, სად, რა ფორმით და რასთან კავშირში შეძლებს მიღებული ცოდნის რეალიზებას. როცა მოსწავლე ამ ყველაფერს გააცნობიერებს, სულ სხვა შინაგანი მოტივაცია და ინტერესი აღეძრება. – ამბობს **ლია ცერცვაძე**, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის პროგრამის განვითარების კონსულტანტი (ქუთაისი). – *რაც შეეხება პედაგოგებს, მათი რუტინული, ე.წ. „ქაღალდმანია“ ჩანაცვლდება წარმოსახვით, კომპლექსური გააზრებით, ისინი დაიწყებენ ფიქრს იმაზე, როგორ გააჩინონ მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის, შეძენილი უნარების და გარემოსთან ადაპტირებული ცოდნის თანხვედრა, გარკვეული კომპლექსური ერთობა. მოკლედ, ახალი სკოლის მოდელმა ახალი გზა უნდა გამოაჩინოს განათლების სისტემაში, რომელიც ჭეშმარიტი შედეგებისკენ წაგვიყვანს.“*

დალი ოსეფაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იორმუღანლოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელია, პროგრამის „არაქართულენოვანი სკოლების განვითარების მხარდაჭერის“ კონსულტანტ-მასწავლებელი. მისი აზრით, ახალი სკოლის მოდელი მასწავლებელს აძლევს საშუალებას, განაახლოს თავისი გამოცდილება, ცოდნა, უნარი. *„ვიცით, რომ განათლება არ არის მუდმივი, ერთ ადგილას არ დგას, მუდმივად იცვლება, იზრდება, ყალიბდება. მასწავლებლებს უჩნდებათ ახალი მიდგომებისადმი საკუთარი დამოკიდებულებები, ზოგი თვითონ ქმნის კლასში რაღაც ახალს. ახალი სკოლის მოდელი მათ ამის ფორმულირების, დემონსტრირების საშუალებას მისცემს. მოსწავლეზე ორიენტირებულობა მასწავლებლის წარმატების საწინდარიც არის და მისი პროფესიონალიზმის ნიშანიცაა, როცა მის მოსწავლეს შეუძლია თავისუფლად იაზროვნოს, გამოხატოს თავისი დამოკიდებულებები, შეძლოს იმ ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრება, რასაც მასწავლებელი ასწავლის.*

ერთია, რას ასწავლის მასწავლებელი და მეორეა, რას სწავლობს ბავშვი. ამ შემთხვევაში, როცა მოსწავლე იაზრებს რას და რატომ სწავლობს, როცა მასწავლებელი აგებინებს რატომ არის მნიშვნელოვანი მისთვის სწავლა, ეს უკვე გვაძლევს იმედს, რომ მომავალში, როდესაც ეს ბავშვი დაამთავრებს სკოლას, საზოგადოების სრულფასოვანი წევრი იქნება და შეძლებს ადაპტირებას იმ გარემოში, სადაც მოუწევს ყოფნა. ბავშვს სკოლიდანვე მივცემთ არჩევანის , საკუთარი აზრის ჩამოყალიბების და განმტკიცების საშუალებას, ამის წინაპირობა კი სათანადოდ მომზადებული მასწავლებელი უნდა იყოს, მუდამ გახსნილი სიახლისთვის, მზად იმისთვის, რასაც აკეთებს, მისცეს გარკვეული ფორმულირება, მიმართულება. მისი შრომა არ უნდა იყოს ცალმხრივი, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის უნდა იყოს ტანდემი, მათ უნდა იმეგობრონ, ითანამშრომლონ. მნიშვნელოვანია, ასევე, მშობელთა ჩართულობა. ეს ჯაჭვი – მშობელი-ბავშვი-მასწავლებელი – ისე უნდა აეწყოს, რომ ამ სამ რგოლს შორის მუდმივი კომუნიკაცია იყოს.

გრძელვადიანი მიზნები ერთგვარი ბაზაა, როგორ მოემზადოს მოსწავლე სხვა საფეხურზე გადასვლისთვის, იქნება ეს სასკოლო საფეხური თუ ცხოვრებაში დამოუკიდებლად გასვლის საფეხური. ეს არის ახალი მოდელის მთავარი პრინციპი, ფაქტობრივად, ამაზეა აგებული მოდელი და ჩვენც სწორედ ამაში შევუწყობთ ხელს მასწავლებლებს. პროგრამის ექსპერტები არ ვასწავლით, არ ვახვევთ თავს რაღაც იდეებსა და აზრებს, უბრალოდ, სწორ მიმართულებას ვაძლევთ იმ ქმედებებს, რასაც მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში ახორციელებენ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე არ იყოს პასიური მსმენელი და სკოლაში მოვალეობის მოხდის მიზნით არ დადიოდეს – მომცეს დავალება და შევასრულე. მთავარია, რატომ დანერა ეს დავალება, რატომ ისწავლა ეს გაკვეთილი და რაში გამოიყენებს, ეს უნდა ჰქონდეს გააზრებული. როცა მასწავლებელი ამას მიიტანს მოსწავლემდე, რა თქმა უნდა, შედეგი უკეთესი გვექნება. ზუსტად ეს არის შედეგზე ორიენტირებული, მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მიღებული ცოდნა და გამოცდილება.“ – ამბობს **დალი ოსეფაშვილი**.

ოზურგეთის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგ **მაია მეგრელიშვილს** მიაჩნია, რომ ახალი სკოლის მოდელის ერთ-ერთი პლუსი ის იქნება, რომ მასწავლებლებს აღარ მოუწევთ ყოველდღიური გეგმების წერა. გაიწერება გრძელვადიანი მიზნები – რა უნდა აკეთოს მასწავლებელმა ერთი საფეხურის განმავლობაში, რა მიზანს მიაღწიოს, რა შედეგზე გავიდეს მოსწავლე, *„ეს არის მთავარი. აუცილებელია, ყოველი ახალი ცოდნა ძველ ცოდნაზე დაშენდეს, კონსტრუქტივისტული ცოდნის მიცემაა მთავარი“.*

განვლილი პილოტირების და ტრენინგების ერთგვარი შემაჯამებელი შეფასება ვთხოვეთ ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლების ექსპერტს **ნიკო სილაგაძეს.** მან გვითხრა, რომ 150-ე სკოლაში, რეალურად, ახალი მიდგომის განსახორციელებლად საჭირო რესურსების დახვეწა-განვითარების პილოტირება განხორციელდა, რომლის მიმდინარეობისას, ბევრი რამ შეიცვალა.

„სულ ცოტა, სამჯერ მაინც შეიცვალა და არსობრივად დაიხვეწა ის ძირითადი ინსტრუმენტები, რომელიც ახლა სამუშაოდ გვაქვს აღებული. პილოტირებამ ისიც აჩვენა, რომ თვისებრივად და არსობრივად არაფერი შეცვლილა. ყველაზე მთავარი კითხვაა, როგორ შეძლოს მასწავლებელმა მოსწავლეებამდე მთავარი მიზნების უფრო გასაგებად და საინტერესოდ მიტანა. სწორედ ამ მხრივ მოხდა სამუშაო ინსტრუმენტების დახვეწა არსობრივად. ამ რეფორმის არსი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაა, რაც გულისხმობს შემდეგს: ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებულია მიზნები საგნების მიხედვით, ანუ ესგ არ არის საკითხების ჩამონათვალი, მიზნების ჩამონათვალია. იდეაში, რამდენი სკოლაც არის, ამ მიზნების მიღწევის იმდენი გზა უნდა იყოს.“ – ამბობს ნიკო სილაგაძე.

სწორედ ამ მიზნით მომზადდა შუალედური დოკუმენტები, რომლებიც სკოლებს სასკოლო კურიკულუმების აგებაში მოეხმარება. შუალედური დოკუმენტები მასწავლებელს შემოქმედებითი თავისუფლების ათვისებაშიც დაეხმარება და პასუხს გასცემს მთავარ კითხვაზე – როგორ დავგეგმო სასწავლო გეგმა და როგორ ვაქციო ის ჩემი სკოლის გამოცდილების ამსახველად. ამ დოკუმენტების ძირითადი არსი და მიზანი ეს არის. გზამკვლევები პედაგოგებს მეთოდოლიგიურ და შინაარსობრივ რეკომენდაციებს სთავაზობს.

განათლების ექსპერტს მიაჩნია, რომ ამ რეფორმის ორიგინალობა უფრო მიდგომებშია, ვიდრე მიზნებში. განათლების სისტემაში გატარებულ ყველა რეფორმას, მათ შორის ახალი სკოლის მოდელსაც, ორი ძირითადი მიზანი აქვს: ერთი, რომ სწავლა-სწავლების ხარისხი გაუმჯობესდეს და მეორე, სკოლაში შეიქმნას გარემო, რომელიც კარგი ადამიანისა და მოქალაქის აღზრდას შეუწყობს ხელს. განსხვავება მიდგომებშია – ამ შემთხვევაში, აქცენტი არ კეთდება ტრენინგებზე, სახელმძღვანელოებზე და სხვ. სკოლაში მიდის ოთხკაციანი ჯგუფი, რომელიც ადგილზე, მასწავლებლებთან ერთად, შეისწავლის არსებულ პრობლემებს და ცდილობს დაეხმაროს მათ გადაჭრაში. მხარდამჭერი ჯგუფი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტების პრაქტიკაში განხორციელებაზე სკოლის კოლექტივთან ერთად მუშაობს, ყალიბდება ერთიანი გუნდი.

„მხარდამჭერ ჯგუფში შედიან: ერთი – სასწავლო კურიკულუმის დანერგვის ექსპერტი (რომელთა გადამზადებაც მოხდა ტრენინგებზე); მეორე – სტუდენტი, რომელიც ექსპერტის ასისტენტი და თანაშემწე იქნება ამ პროცესში; მესამე – ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელიც მასწავლებლებს ტექნოლოგიების გამოყენებასა და დანერგვაში დაეხმარება; მეოთხე – ლიდერობის ექსპერტი, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან იმუშავებს. ჯამში, ოთხივე სკოლის გარდაქმნას და იმ მიზნების მიღწევას ემსახურება, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმებშია დასახული. ჯგუფის წევრობის მსურველი ბევრია და ტრენინგებიც იმიტომ ტარდება, რომ მათ შორის საუკეთესოები შეარჩიოს.“ – ამბობს ნიკო სილაგაძე.

„ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვა ხუთწლიან პროცესს მოიაზრებს, რომელშიც, ამ ეტაპზე, 50 სკოლაა ჩართული, სექტემბრიდან კიდევ 100 სკოლა დაემატება, საბოლოოდ კი, პროცესმა საქართველოს ყველა სკოლა უნდა მოიცვას.

გამოცდები — 2019

აბიტურიენტთა რეგისტრაცია დაიწყო

ლალი ჯელაძე

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **სოფო გორგოძემ**, 2019 წლის გამოცდებზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ბრიფინგი გამართა.

„დაიწყო რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის და საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის. რეგისტრაცია დასრულდება 3 აპრილს, 18 საათისთვის. ამის შემდეგ აბიტურიენტები ვეღარ შეძლებენ დარეგისტრირებას. გთხოვთ, მას შემდეგ, რაც დარეგისტრირდებით, აუცილებლად შეამოწმოთ ელექტრონული ფოსტა – მიიღეთ თუ არა დასტური რეგისტრაციის შესახებ. თუ ასეთი დასტური არ გაქვთ, სავარაუდოდ, რეგისტრაცია ბოლომდე ვერ გაიარეთ და ამიტომ გთხოვთ, ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ. თუ რაიმე პრობლემა იქნება, დამატებით ინსტრუქციებს ჩვენც მოგაწვდით“, – განაცხადა სოფო გორგოძემ.

შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ძირითადი რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აბიტურიენტები და მაგისტრანტები ვეღარ დარეგისტრირდებიან; 3 აპრილის შემდეგ აბიტურიენტი ვეღარ შეცვლის საგამოცდო ქალაქს, თუმცა, 7 მაისის 18 საათამდე შეეძლება გამოცდის დამატება ან საგნის შეცვლა. ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) განთავსდება საინფორმაციო ცნობარი, რომლითაც აბიტურიენტმა არჩევანის გაკეთებისას უნდა იხელმძღვანელოს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ორი ან მეტი არჩევითი საგნის გამოცდის მონიშვნის შემთხვევაში და რომელიმე მათგანში ჩაჭრის (მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერგადალახვის) ან რომელიმე არჩევითი საგნის გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც, აბიტურიენტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების შესაძლებლობას შეინარჩუნებს.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, სარეგისტრაციო განაცხადში საგანმანათლებლო პროგრამების მითითებისა და შეცვლის საშუალება აბიტურიენტს აპელაციების შედეგების გამოქვეყნების შემდეგი დღის ჩათვლით ექნება.

„პროგრამებზე განაცხადების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა აბიტურიენტებს სპეციალური სისტემის მეშვეობით შეეძლებათ – რეგისტრაციის დაწყებიდან ამოქმედდება გვერდი, რომელზეც განთავსდება განახლებული ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამებზე განაცხადების რაოდენობის შესახებ და ეს ინფორმაცია მუდმივად შეიცვლება,“ – ამბობს სოფო გორგოძე.

2019 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის შანსი უფრო მეტ ადამიანს მიეცა, მათ შორის, გასულ წლებში სააატესტატო გამოცდებზე ჩაჭრილ პირებსაც, რადგან ამ აპლიკანტებს მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ დასჭირდებათ სკოლის ატესტატი, რომელსაც, სკოლის გამოსაშვები გამოცდების გაუქმების შემდეგ, უპრობლემოდ აიღებენ.

მასწავლებელთა 2019 წლის გამოცდებზე რეგისტრაცია წელს შედარებით გვიან დაიწყება, ამის მიზეზად სქემაში დაგეგმილი ცვლილებები დასახელდა.

„თუ იმავე პერიოდში გადაწყდა მასწავლებლების გამოცდები, როგორც აბიტურიენტების, ანუ ზაფხულში, მაშინ ეს მასწავლებლის გამოცდებზე რეგისტრაციის ვადების შემჭიდროებას გამოიწვევს. ველოდებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გადაწყვეტილებას,“ – განაცხადა სოფო გორგოძემ.

ბავშვთა უფლებები

ბავშვთა კოდექსის მთავარი აქცენტები

ლალი ჯელაძე

4 მარტს, პარლამენტის გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ სავალდებულო წესით, „პრინციპების დონეზე“ განიხილეს.

კანონპროექტის ავტორები დეპუტატი **სოფო კილაძე** და თსუ-ს პროფესორი **პაატა ტურავა** არიან. სოფო კილაძის განცხადებით, საქართველოში აქამდე არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვა, სისტემური მიდგომა, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ბავშვის კეთილდღეობა. აღნიშნული კანონპროექტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

„მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭიროს ბავშვის უფლებათა კოდექსს, რომელიც იქნება, ერთი მხრივ, გარანტი ბავშვის კეთილდღეობის, მეორე მხრივ, იქნება გარანტი, რომ მივიღოთ დემოკრატიულ, სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული საზოგადოება, სადაც ადამიანები პატივს სცემენ ერთმანეთს, საკუთარ სამშობლოს, კულტურასა და ტრადიციებს,“ – განაცხადა სოფო კილაძემ.

მისი განმარტებით, კოდექსი აღიარებს ბავშვის შემდეგ უფლებებს: ღირსება; სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების; დისკრიმინაციის აკრძალვა; მისი აზრის მოსმენისა და მონაწილეობის; პირადი ცხოვრების და პირადი მონაცემების შენარჩუნების; აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების; მასმედიის საშუალებებით ინფორმაციის მიღების; რელიგიისა და სინდისის თავისუფლება; გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება; თამაშისა და დასვენების; საკუთრებისა და მემკვიდრეობის; ინტელექტუალური შემოქმედების; ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის.

სოფო კილაძემ ბავშვის განათლების მხარდაჭერის პროგრამებისა და ღონისძიებების სამართლებრივ საფუძვლებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ბავშვისთვის შეთავაზებული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი განვითარების ხელშემწყობი განათლების პროგრამები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მისი პიროვნების, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება, ასევე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი, მშობლებისადმი, ქვეყნის კულტურული, ენობრივი, ეროვნული და რელიგიური ღირებულებებისადმი, განსხვავებული ცივილიზაციებისა და რელიგიებისადმი პატივისცემის უნარების გამომუშავება.

განათლების მიღების შესაძლებლობები „ბავშვთა უფლებების კოდექსის“ 35-ე მუხლშია ჩამოყალიბებული:

ა) ხარისხიანი უფასო სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა, ყოველი ბავშვისთვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად;

ბ) პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, ყოველი ბავშვისთვის ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების შესაბამისად, მათ შორის, სათანადო ფინანსური მხარდაჭერით;

გ) განათლების სისტემის, საფეხურების და ფორმების, პროცედურების და ბავშვისთვის სხვა მნიშვნელოვანი და სასარგებლო საკითხების შესახებ ინფორმაციის ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომობა;

დ) სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვთა სკოლებში დაბრუნების ხელშეწყობა და სკოლის მიტოვების პრევენციის ღონისძიებების განხორციელება;

ე) განათლების ყველა საფეხურზე უახლესი სამეცნიერო და დარგობრივი ცოდნისა და ბავშვზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

ვ) ბავშვის მონაწილეობის უფლების განხორციელება განათლების ყველა საფეხურზე როგორც უშუალოდ საგანმანათლებლო პროცესში, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადაწყვეტილების მიღებისას.

კოდექსი, ასევე, ადგენს ბავშვის უფლებას, რომ დაცული იყოს ძალადობისგან, რაც გულისხმობს დაცვას ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულების, დაზიანების, უგულებელყოფის, დაუდევარი მოპყრობის, წამების, ექსპლუატაციის, ვაჭრობის, ტრეფიკინგის და ძალადობის სხვა ნებისმიერი ფორმისგან.

„ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, რომ ნებისმიერი კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა, მშვიდობიანი გზებით უნდა დარეგულირდეს. ამ მიმართულებით მთელი რიგი პროგრამებია იმ ქვეყნებში, რომელზეც სწორება გვაქვს,“ – განაცხადა სოფო კილაძემ და აღნიშნა, რომ იქმნება ახალი სერვისები, რომელიც მსხვერპლი ბავშვების დახმარებისთვის იქნება გათვალისწინებული. კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ დღეს დიდ გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის დაცვა საჯარო სივრცეში, რაც მოიაზრებს ბავშვის დაცვას მავნე ზეგავლენისგან: ალკოჰოლის და ნარკოტიკის, კლუბების და გასართობი დაწესებულებების, თამბაქოსა და სხვ. ასევე, ეფექტიანი რეგულირების მიღმაა ბავშვის დაცვა მედიასივრცესა და ინტერნეტში, მათ შორის, მავნე ზეგავლენის მქონე, განსაკუთრებულად უხამსი და ძალადობრივი ინფორმაციის შემცველი ფილმების, ბეჭდური მედიის და ა.შ. რაც მეტად ზრდის ძალადობის და დევიაციური ქმედებების იმ მასშტაბებს, რომელიც სამწუხაროდ განსაკუთრებით გახშირდა საქართველოში უკანასკნელ წლებში. არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა უსაფრთხოებას ჯგუფური ტრანსპორტირების (ექსკურსიების) შემთხვევაში. სამწუხაროდ, ასეთი გარანტიების არარსებობის გამო არაერთ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, **დიმიტრი ხუნდაძემ** განაცხადა, რომ ბავშვთა კოდექსი ქვეყნის პატარა მოქალაქეების მრავალმხრივი და უპირატესი ინტერესის დამცველია. მან ყურადღება გაამახვილა კანონში ბავშვებზე განხორციელებული ძალადობის იდენტიფიცირებისთვის კონკრეტულ ჩანაწერებზე და კოდექსის ავტორებს ცხელი ხაზის ამოქმედების იდეა შესთავაზა.

კოდექსში ყურადღება გამახვილებულია ბავშვის უფლებაზე, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. სოფო კილაძის განცახდებით, ამ მიმართულებითაც მთელი რიგი სიახლეების შემოტანა იგეგმება, რადგან *„მნიშვნელოვანია იმ ბავშვებზე ვიზრუნოთ, რომლებიც მოკლებული არიან ოჯახის მზრუნველობას, დროებით ან სამუდამოდ.“*

მისი განმარტებით, კოდექსი ადგენს ბავშვის უფლებას ალტერნატიულ ოჯახურ ზრუნვაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, განსაკუთრებული დაცვა და მხარდაჭერა აღმოუჩინოს ბავშვს, რომელიც დროებით ან სამუდამოდაა მოკლებული მშობელთა ზრუნვას, ან როდესაც ოჯახში დარჩენა ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს. ეს უფლება, ასევე, მოიცავს სახელმწიფოს ზრუნვას ალტერნატიული ზრუნვიდან გამოსულ ახალგაზრდებზე, რომელთაც სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდამავალ პერიოდში, ესაჭიროებათ მხარდაჭერა.

„ბუნებრივია, საზოგადოების ყველა სეგმენტს აქვს ინტერესი, რომ ეს კოდექსი სრულყოფილი და მისაღები იყოს მთლიანად საზოგადოებისთვის. ჩვენი ვალდებულებაა, ვიმუშაოთ, რათა გვქონდეს შეჯერებული პოზიციები,“ – განაცხადა სოფო კილაძემ.

გაერთიანებული კომიტეტის სხდომაზე სხვადასხვა დაინტერესებული პირებისგან წამოვიდა ინიციატივა, რომ ქვეყანაში აბორტი უნდა აიკრძალოს, რასაც ხმაური მოჰყვა. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, დიმიტრი ხუნდაძის აზრით: *„ძალიან მძიმეა, როცა პოტენციური დედა, ოჯახი მიდის აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებამდე, მაგრამ, ვფიქრობ, აკრძალვა საუკეთესო გამოსავალი არ იქნება. საუკეთესო გამოსავალია სათანადო პირობების შექმნა, რომ პოტენციურმა დედამ ეს გადაწყვეტილება არ მიიღოს“* .

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ აბორტების საკითხის სწორად წარმოდგენისთვის, დღევანდელი მაჩვენებელი 2012 წლისას შეადარა, როცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა – რეგისტრირებული იყო 40 000 აბორტი. თან განმარტა, რომ 2012 წელი აიღო არა როგორც პოლიტიკურ წლად, არამედ სწორედ ყველაზე მაღალი მაჩვენებლის გამო.

დიმიტრი ხუნდაძე მიიჩნევს, რომ დაფინანსების გარდა, სახელმწიფოს მიერ გატარებულ პროგრამებსა და ცვლილებებს შორის, ძალიან მნიშვნელოვანია შვილად აყვანისა და მინდობის აღზრდის შესახებ კანონი. ეს პროგრამები საშუალებას აძლევს ბავშვებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ რჩებიან ბიოლოგიურ ოჯახში, უკეთეს პირობებში განაგრძონ განვითარება.

„მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბავშვთა სიღარიბე, რომელიც ყველა ხელისუფლებისთვის უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს. ამ დროისთვის, ბევრი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების დაფინანსება. ყველაზე მთავარი მიზანი და საზრუნავია, ბავშვებისთვის შევქმნათ ისეთი უსაფრთხო გარემო, სადაც მათი უფლებები მაქსიმალურად იქნება დაცული“ – აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

პარლამენტში ბავშვის უფლებათა კანონპროექტის განხილვისას წამოწეულ თემებს – ფიზიკურ დასჯასა და აბორტის აკრძალვას – უფლებადამცველი **ანა არგანაშვილი** ასე ეხმიანება: *„კანონპროექტის ოპონენტები ამ სფეროში საკმარისად კომპეტენტურები არ არიან. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ძალიან ბევრ მათგანს ამ თემაზე არ უმუშავია“.*

არსებული კანონების გარდა, კანონპროექტში ახალი ჩანაწერებიც ჩნდება, რომლის თანახმადაც: მშობელს აღარ შეეძლება ბავშვის საკუთრების გასხვისება, თუ ეს ისევ ბავშვის ინტერესებში არ შედის; ბავშვს მიეცემა უფლება, მოითხოვოს ბალანსის დაცვა სწავლასა და თავისუფალ დროს შორის, ასევე უფლება – მოუსმინონ და სათანადოდ გაითვალისწინონ მისი მოსაზრება იმ საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მას ეხება; აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯაც. ამ ჩანაწერების მიუხედავად, ანა არგანაშვილი მიიჩნევს, *რომ „ ეს კარგად არ არის განმარტებული. ბევრი ფიქრობს, რომ გამეტებით ცემა არ შეიძლება, მაგრამ წამორტყმა – კი (საერთოდ, არ შეიძლება!). არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ყურის აწევაზე ვლაპარაკობთ თუ დარტყმაზე, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ბავშვის ღირსებას ეხება“.*

კოდექსი კრძალავს ბავშვის ცემას, თვითნებურ მკურნალობას, ბავშვის ქონების გაყიდვას; ასევე, ბავშვმა შეიძლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან... კანონპროექტში კიდევ ერთხელ ჩაიწერა, რომ აკრძალულია ბავშვის ჩაბმა მათხოვრობაში. რაც შეეხება მის ჯანმრთელობას, მისივე ნების საწინააღმდეგოდ, ფსიქიატრიული სტაციონარული მკურნალობა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და უმოკლესი ვადით.

სიახლეა ისიც, რომ დაზარალებულ ბავშვს შეუძლია, სახელმწიფოს მოსთხოვოს კომპენსაცია, მათ შორის ფინანსური ზარალის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ ამ ანაზღაურების სწრაფი მიღება დამნაშავის მხრიდან შეუძლებელია.

დოკუმენტით, ბავშვი დაცულია ძალადობის ყველა ფორმისგან, მათ შორის ფიზიკური დასჯის ან/და დამამცირებელი მოპყრობისგან, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ის იძლევა ბავშვის წვდომის გარანტიას დაცვის მექანიზმებზე, მათ შორის, მართლმსაჯულების სისტემაში. თუმცა, არასამთავრობო სექტორის მთავარ კითხვას – როგორ და ვის მიერ უნდა განხორციელდეს ბავშვზე ზრუნვა, ძალადობის შემცირება, მავნე ზეგავლენისგან დაცვა? – პასუხი არ მოეძებნა. როგორც იურისტი **ანა აბაშიძე** აცხადებს: *„ეს იქნება კოდექსი, რომელიც ბავშვებს პრაქტიკაში სარგებელს ვერ მოუტანს“.* პარლამენტში სრული მხარდაჭერის შემთხვევაში კი, „ბავშვთა უფლებების კოდექსი“ 2020 წლის 1 ივნისს ამოქმედდება.

პედაგოგთა დასახმარებლად

როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ სამუშაო შეხვედრა

შახვალათ ნაბიევი
სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტნუსის საჯარო სკოლის დირექტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი, მათემატიკის უფროსი მასწავლებელი

სკოლებისა და საგანთაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა და ჩატარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია. სამუშაო შეხვედრები შეიძლება სხვადასხვა მიზნით ჩატარდეს. მიზნიდან გამომდინარე დაიგეგმება შეხვედრის ფორმატიც. ამიტომაც შეხვედრის სწორი დაგეგმვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

მართალია STEM-ის საგნების ფასილიტატორებს, ტრენინგზე მიღებული უნარ-ჩვევების სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით, უკვე ჩატარებული აქვთ რამდენიმე შეხვედრა და აქვთ გამოცდილება, მაგრამ საგანთაშორისი შეხვედრების დაგეგმვისა და ჩატარების გამოცდილება სკოლებს ნაკლებად აქვთ. სამუშაო შეხვედრების დაგეგმვის რამდენიმე კომპონენტი არსებობს, რომელიც ყველამ უნდა გავითვალისწინოთ.

- მიზნის სწორი განსაზღვრა;
- მიზნის მისაღწევი გზების სწორად დაგეგმვა;
- შეხვედრის მონაწილეების სწორად შერჩევა;
- დაინტერესებული მხარეების შეხვედრაში მონაწილეობისთვის მოზიდვა;
- სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- სამუშაო შეხვედრის გეგმის შედგენა;
- დღის წესრიგის შედგენა;
- დროისა და დღის წესრიგის ეფექტური განაწილება და მართვა;
- რეფლექსია.

ნიმუშის სახით გთავაზობთ კოლეგებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრის გეგმას.

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის გეგმა

(კვარტალური შეხვედრა ლიდერობის აკადემია 2-ის 3-4-5-6 მოდულებისთვის)

სკოლა: სსიპ დმანისის №2 საჯარო
ორგანიზატორი: შახვალათ ნაბიევი
შეხვედრის ხანგრძლივობა: 3 საათი.
შეხვედრის ჩატარების თარიღი: 08.12.2018
კვარტალური შეხვედრების მიზანი:

კვარტალური შეხვედრები მიზნად ისახავს საჯარო სკოლების დირექტორებს შორის იმ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, რომელიც ლიდერობის აკადემიის ტრენინგის ფარგლებში და შემდგომ სკოლებში გამოიყენეს – შეხვედრებზე განიხილავენ ე.წ. კვარტალურ დავალებებს. კვარტალური დავალება ახლავს ყოველ მოდულს, რომელსაც დირექტორი სურვილისამებრ ირჩევს და შეხვედრისთვის ასრულებს.

ლიდერობის აკადემია 2-ის 3-4-5 მოდულებში დირექტორებისთვის შეთავაზებული იყო სამი დავალება:

მოდული 3 – ლიდერობა და ხელმძღვანელობა
მოდული 3-ის კვარტალური დავალება:

კვარტალური შეხვედრისათვის, რომელიც გაიმართება დირექტორებისთვის ტრენინგის დასრულებიდან, დაახლოებით, 2 თვის შემდეგ, განახორციელეთ თქვენ მიერ მოდულის დავალებაში გაანალიზებული პრობლემის გადასაჭრელად დაგეგმილი პროექტი და წარმოადგინეთ მისი განხორციელების შედეგები.

- მოგვარდა თუ არა პრობლემა, ანუ მიაღწიეთ თუ არა მიზანს (წარმოადგინეთ არგუმენტირებული დასაბუთება);
- წარიმართა თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად;
- როგორ განხორციელდა რისკების მართვა.

მოდული 4 – სასწავლო თემის განვითარება
მოდული 4-ის კვარტალური დავალება:

ნაბიჯი 1. კვარტალურ შეხვედრამდე სკოლის დირექტორი ესწრება, მინიმუმ, 2 მასწავლებლის სამუშაო შეხვედრას, რომელიც უკვე დაგეგმილია პროექტის მიერ ამ წელს. აძლევს კონსტრუქციულ განმავითარებელ უკუკავშირს შეხვედრის ფასილიტატორს და ამზადებს საერთო ანგარიშს.

ნაბიჯი 2. კვარტალური შეხვედრისთვის ატვირთეთ Google Drive-ის სამუშაო ჯგუფში სამუშაო შეხვედრების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაციით (მაგ., შეხვედრების ფოტო/ვიდეომასალა, ოქმი, რეფლექსია, კითხვარი და სხვ.).

ნაბიჯი 3. Google drive სამუშაო ჯგუფში დაამატეთ ტრენერი, რომელიც ჩაატარებს კვარტალურ შეხვედრას, რათა გაეცნოს განხორციელებულ აქტივობებს.

მოდული 5 – 21-ე საუკუნის კლასის მახასიათებლები
მოდული 5-ის კვარტალური დავალება

სკოლის დირექტორმა და ფასილიტატორმა საკუთარ სკოლებში უნდა ჩაატარონ კვლევა, რათა დაადგინონ:

- რამდენად შეესაბამება მათი სკოლის საკლასო კლიმატი მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს.

1. დირექტორი იყენებს დაკვირვების ფორმას – LA2-M5 – სამუშაო ფურცელი №1 – კლასის კლიმატზე დაკვირვება;
2. ფასილიტატორი იყენებს დაკვირვების ფორმას – LA2-M5 – სამუშაო ფურცელი №1 – კლასის კლიმატზე დაკვირვება;
3. დირექტორი და ფასილიტატორი აჯამებენ საკუთარი კვლევის შედეგებს, გამოყოფენ საკლასო კლიმატის პრობლემებს და გეგმავენ აქტივობებს, რომლებიც დაეხმარებათ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში. კარგი იქნება, თუ გადაიღებენ კლასის სურათებს და ატვირთავენ Google drive-ზე ან ელფოსტით გამოგზავნიან. ფოტოები უფრო თვალსაჩინოს გახდის კვლევის შედეგებს. კვარტალურ შეხვედრას ესწრებიან მხოლოდ დირექტორები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ:
1. კვლევის შედეგები – საერთო დოკუმენტი;
2. წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნისთვის ხელშემწყობი აქტივობები.

მოდული 6 – თანასწორობის საკითხები
მოდული 6-ის კვარტალური დავალება

პროექტი „ჩვენ ვქმნით ინკლუზიურ კულტურას“

კვარტალური შეხვედრისათვის დირექტორებმა უნდა მოამზადონ და წარადგინონ განხორციელებული პროექტის ანგარიში, რომელიც შეფასდება შემდეგი კითხვების მეშვეობით:

1. მოგვარდა თუ არა პრობლემა, ანუ მიაღწიეთ თუ არა მიზანს (წარმოადგინეთ არგუმენტირებული დასაბუთება)?
2. წარიმართა თუ არა პროცესი დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად?
3. როგორ განხორციელდა რისკების მართვა?

✔ *კვარტალურ შეხვედრებს ესწრებიან საჯარო სკოლების დირექტორები და რესურსცენტრების უფროსები, რომლებმაც გაიარეს ლიდერობის აკადემია 2-ის 3-4-5-6 მოდულებში ტრენინგი, ასევე იმ საჯარო სკოლების დირექტორები, რომლებმაც ტრენინგის გავლა ვერ შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ არ აქვთ შესრულებული კვარტალური დავალება, მაინც ერთვებიან კოლეგების მიერ შესრულებული დავალებების განხილვაში.*

✔ *ტრენინგებზე გავლილი სამი მოდულიდან, კვარტალურ შეხვედრაზე წარსადგენად, დირექტორმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მოდულის კვარტალური დავალება.*

კვარტალური შეხვედრის დღის წესრიგი

№	თემა	აქტივობის აღწერილობა	დრო
1	მისალმება		5წთ
2	დისკუსია/ ბრეინსტორმინგი	ამ ნაწილში, ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, სკოლაში გადადგმული ნაბიჯების, გამოცდილების გაზიარებისათვის, შეხვედრის ფასილიტატორი (ორგანიზატორი), შეძლებისდაგვარად, ყველას აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას. შეხვედრის მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით განსაზღვრავს დროს თითოეულისათვის. თუ მონაწილეების სურვილია, მეტი ისაუბრონ ამა თუ იმ თემაზე, ორგანიზატორი მადლობას უხდის ინტერესისთვის, კიდევ ერთხელ განუმარტავს შეხვედრის ძირითად მიზანს (კვარტალური დავალებების განხილვა) და ხანგრძლივობას (სულ 3 საათი) და სთავაზობს გამოცდილების გაზიარებისთვის სხვა სივრცეს (მაგ. ფეისბუქის დახურული ჯგუფი); თუ მონაწილეები შექმნიან ასეთ ჯგუფს, სთხოვეთ, დაგამატონ თქვენ, შეხვედრის ფასილიტატორი, ასევე, პროექტის მართვის გუნდის წევრები.	15წთ
3	ჯგუფური მუშაობა	შეხვედრის ორგანიზატორი (ფასილიტატორი) დაყოფს ჯგუფებს შესრულებული კვარტალური დავალების მიხედვით და აცნობს იმ მთავარ პუნქტებს, რომელზეც პრეზენტაცია უნდა მომზადდეს (იხილეთ ეს კითხვები ქვემოთ). თუ ჯგუფში ერთი დავალება შესრულებული აქვს 7-ზე მეტ დირექტორს, ეს ჯგუფი ორად გაიყოფა. ჯგუფის წევრები ერთმანეთს აცნობენ შესრულებულ დავალებებს, აძლევენ ერთმანეთის ნამუშევარზე უკუკავშირს და უზიარებენ დავალების მომზადებისას მიღებულ გამოცდილებას. საპრეზენტაციო კითხვების მიხედვით ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას (ფორმას წყვეტს ჯგუფი – ირჩევს პრეზენტატორს ან აკეთებენ ჯგუფურ პრეზენტაციას; ამზადებენ ფლიფჩარტზე ან კომპიუტერში და უშვებენ მონიტორზე ან საკვანძო საკითხებს ინიშნავენ თაბახის ფურცელზე – დამოკიდებულია სკოლაში არსებულ რესურსზე და მონაწილეთა სურვილზე).	1სთ
4	ჯგუფების პრეზენტაციები	ფასილიტატორი (შეხვედრის ორგანიზატორი) ჯგუფებს სთხოვს პრეზენტაციების მომზადებას და მოდერაციას უწევს პრეზენტაციებს (დაცული იყოს დრო; პრეზენტაციებს, მთლიანობაში, ეთმობა საათ-ნახევარი. თითოული ჯგუფისთვის გამოყოფილი დრო დამოკიდებულია ჯგუფების რაოდენობაზე. ფასილიტატორმა ეს დრო წინასწარ უნდა გააცნოს ჯგუფებს); ცდილობს, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება, პრეზენტაციის ნაწილში მაინც ჩაერთოს. კითხვები/საკითხები პრეზენტაციის მოსამზადებლად: • შესრულებული დავალების თემატიკა და შეჯამება, რა იყო ჯგუფის წევრების ნამუშევრებში საერთო და განსხვავებული; • რა ვისწავლეთ ერთმანეთისგან? (პრობლემის გადაჭრის საერთო და განსხვავებული გზები); • რა მოგვეწონა სხვა დირექტორების მიერ შესრულებულ დავალებებში? • რას გავაუმჯობესებდით ჩვენ მიერ შესრულებულ დავალებაში?	1სთ 30წთ
5	შეჯამება	შეხვედრის შეჯამება ჯგუფური ფოტოების გადაღება.	10წთ

გაკვეთილის გეგმა

թվի կիսումը

Դասի պլան

Դպրոց: Ծալկայի քաղաքապետարանի Դարագյուղի հանրային դպրոց **Ուսուցիչ:** Թագուհի Ղարագյոզյան	
Առարկա: Մաթեմատիկա	**դասարան:** II
Թեմա: թվի կիսումը	**Ժամանակ:** 40 րոպե
Աշակերտների պրոֆիլը Դասարանում կա 9 աշակերտ,հատուկ կրթական կարիք ունեցող աշակերտ չունեմ	
Դասի նպատակը: Աշակերտները ծանոթանան թվի կիսելու գործողությանը,կառողանան կիսել թիվը 100-ի սահմանում:	
Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչ: **Մաթ. II.4. Աշակերտը կարող է 100-ի սահմանում գնահատել և համեմատել քանակները:** Արդյունքն ակնառու է, եթե աշակերտը. • Ընտրում է եղանակ (օրինակ, համապատասխանեցնել տարրերը, զույգեր կազմել), գնահատում է («մոտավորապես հավասար է», «մոտավորապես կեսն է (կրկնապատիկը») և համեմատում քանակները 2 բազմություններում, սահմանում է նրանց միջև եղած տարբերությունը (որքանով ավելի (պակաս), «հավասար» «երկու անգամ ավելի (պակաս)»: • Միատեսակ առարկաների երկու/երեք բազմությունից ընտրում է մեկը, որում առարկաների թիվը մոտավորապես հավասար է տրված թվին և ստուգում է իր ենթադրությունը: • Անվանում է թվին մոտ գտնվող քսանյակը, տասնյակը կամ հնգյակը, բացատրում է պատասխանը:	
Դասի ընթացքը: **Ակտիվություն №1:** • Աշակերտների քանակի հաստատում (1րոպե) **Ակտիվություն №2:** • Կրկնել 10-ի եւ 20-ի կազմը խաղի ձեւով (2րոպե) **Ակտիվություն №3:** • Կրկնել մի քանի թվերի կրկնապատկումը եւ գրել տալ գրատախտակին(3րոպե) **Ակտիվություն №4:** • Ծանոթացնել թիվը կիսելուն • Ա օգտվել խորանարդիկներից • Բ թվի մոդելը կազմելու ու կիսելու մեթոդից • Գ թիվը հավասար գումարելիների գումարով ներկայացնելու եւ կիսելու մեթոդի(10րոպե) **Ակտիվություն №5:** • Ֆիզկուլտ դադար (2րոպե)	
Դասի ամրապնդում: Գրատախտակին տեղ հատկացնել 3 աշակերտի համար և եռյակներով կանչել լուծելու իրենց կազմած օրինակները :Մասնակցում են և ուղղում կատարում բոլոր աշակերտները: (20րոպե)	
Գնահատում և ինքնագնահատում: Աշակերտները գնահատվում են զարգացնող գնահատմամբ: **Տնային առաջադրանք:** Կազմել և լուծել 5-ական օրինակ թիվը կրկնապատկելու և կիսելու վերաբերյալ: (2րոպե)	

გავანახევროთ რაოდენობა

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი: ტაკუი კარაგეზიანი **სკოლა:** სსიპ-წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ დარაქოვის საჯარო სკოლა	
საგანი: მათემატიკა	**კლასი:** II
თემა: „გავანახევროთ რაოდენობა“	**დრო:** 40 წუთი
მოსწავლეთა პროფილი: 9, სსსმ მოსწავლე – 0	
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეების გაცნობა ციფრის განახევრების პროცესთან. შეძლონ ციფრის განახევრება 100-ის ფარგლებში.	
ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი: **მათ. I.3. მოსწავლეს შეუძლია განახევრება-გაორმაგების მოქმედებების შესრულება და მათი დაკავშირება შეკრება-გამოკლებასთან და ერთმანეთთან.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ახდენს გაორმაგების მოქმედების დემონსტრირებას საგანთა მოცემული რაოდენობის ჯგუფისთვის იმავე რაოდენობის ჯგუფის დამატებით; • აორმაგებს რიცხვებს 10-ის ფარგლებში, აგრეთვე სრულ 10-ეულებსა და 20-ეულებს; აკავშირებს ამ მოქმედებას შესაბამისი ბიჯით თვლასთან (მაგალითად, *განმარტავს სრული ათეულის შესაბამისი რიცხვების სახელდებას ქართულ ენაში*); • დაადგენს არის თუ არა მითითებული რაოდენობა სხვა მითითებული რაოდენობის ნახევარი/ორმაგი კონკრეტული მოდელის შემთხვევაში (მაგალითად, *საგანთა დაწყვილებით*); • ირჩევს ხერხს (მაგალითად, *უკუთვლა ან გამოკლება*) და ანახევრებს ლუწ რიცხვებს; ახდენს გაორმაგება-განახევრების ურთიერთშებრუნებულობის დემონსტრირებას.	
აქტივობა №1 (სახელწოდება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა): გაცდენების შემოწმება (1წთ) **აქტივობა №2** გამეორება. 10-ისა და 20-ის შემადგენლობა (თამაშით) (2წთ) **აქტივობა №3** რამდენიმე ციფრის გაორმაგება (3 წუთი) 1. ციფრის განახევრების გაცნობა; 2. კუბის გამოყენება; 3. ციფრის მოდელის შედგენისა და გაყოფის მეთოდი; 4. ციფრის თანაბარ დანამატთა წარმოდგენის მეთოდი (10წთ). **აქტივობა №4** სპორტული ვარჯიშები (2წთ)	
თემის გაგება: დაფის გაყოფა 3 ნაწილად; მოსწავლეების სამეულად გამოძახება: დაფაზე წერა და ამოხსნა ამოცნების , რომლებსაც თვითონ შეადგენენ. დანარჩენი მოსწავლეები კი მიჰყვებიან და იწერენ რვეულებში. მონაწილეობს ყველა, ასწორებენ და აფასებენ მოსწავლეები **(20წთ)**	
შეფასება და თვითშეფასება: განმავითარებელი **საშინაო დავალება:** გაორმაგების და ციფრის გაყოფის 5-5 მაგალითის შედგენა და ამოხსნა (2წთ).	

ინფორმაცია

ქალების როლი დუალურ პროფესიულ განათლებაში

საქართველოში სულ უფრო მეტი ადამიანი ირჩევს დუალურ პროფესიულ განათლებას, მათ შორის იზრდება ქალების რაოდენობაც, ვინც დუალური პროფესიული განათლების წყალობით მოახდინა საკუთარი თავის რეალიზება.

დუალური პროფესიული განათლება ორი კომპონენტისგან შედგება და სწავლების მეტი წილი პრაქტიკულ ნაწილზე მოდის: 40% – თეორიული სწავლება კოლეჯში, 60% – პრაქტიკული სწავლება კომპანიაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ირინა წეროძე** ამბობს, რომ დღეს პროფესიული განათლება სრულად ინკლუზიურია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის, არანაირი ბარიერი ამ მიმართულებით არავისთვის არ არსებობს. *„ვფიქრობთ, ქალბატონების მონაწილეობა, ზოგადად, განათლების მიღების პროცესში კიდევ უფრო გაიზრდება და განსაკუთრებით ეს იქნება აღსანიშნავი პროფესიული განათლების მიმართულებით.“*

მალხაზ ასლამაზაშვილი, საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ დირექტორი, მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროფესიულ განათლებაში ქალების გააქტიურებას და ამ სფეროში მათი ჩართულობის ზრდას, *„ ვინაიდან ქალებს შეუძლიათ უფრო მეტი პასუხისმგებლობის აღება, მეტად აქტიურები არიან და მეტ სასურველ შედეგს მოგვიტანს მათი ჩართულობა დუალურ პროფესიულ განათლებაში.“*

მაკა ჩაველაშვილი პროფესიული სტუდენტია, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით: *„ჩემს მეგობრებს უჩნდებათ კითხვა, როგორ შეიძლება იყო სამი შვილის დედა და, ამავე დროს, ფიქრობდე კარიერულ ზრდაზე. მაგრამ თუ გაქვს სურვილი და გიყვარს ეს სფერო, რა თქმა უნდა, შეგიძლია მიაღწიო შენს მიზანს. დუალური განათლების ერთ-ერთი უპირატესობა სწორედ ეს არის – დასაქმების დიდი შანსი გაქვს.“*

ნუკა ჩოხელმა ხის დამუშავების სპეციალობა აირჩია და დარწმუნებულია, რომ ამ სპეციალობაში ქალიც შეიძლება იყოს წარმატებული.

„მთელი ცხოვრება ვიყავი დიასახლისი, – ამბობს **ნინო მითაიშვილი**, პროფესიული სტუდენტი, სასტუმროს საქმის სპეციალისტი – *ვზრდიდი შვილებს, მაგრამ როდესაც ბავშვები წამოიზარდნენ, დავდექი ფაქტის წინაშე, რომ უნდა დამეწყო ჩემი პირადი ცხოვრება. ყოველთვის დგება ადამიანის ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც საკუთარი თავი უნდა იპოვო.“*

გენო ძიძიგური ჰილტონ ბათუმის ადამიანური რესურსების მენეჯერია. დუალური პროფესიული განათლების ყველაზე დიდ პლუსად მას სწორედ ის მიაჩნია, *„რომ ქალებს აძლევს შანსს, უფრო მეტად რეალიზებულები იყვნენ და დაამტკიცონ, რომ მეტი შეუძლიათ და დაარღვიონ ის სტერეოტიპები, რომელიც დღესდღეობით ისევ არსებობს საქართველოში.“*

დუალური პროფესიული განათლების მოდელი პროფესიული განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლის საკმაოდ წარმატებული შესაძლებლობაა, რა თქმა უნდა, არა მარტო ქალებისთვის, არამედ ნებისმიერი მსურველისთვის. დღეს თვალი გადავავლეთ ქალების ჩართულობას პროფესიულ განათლებაში, ზოგადად კი, დუალური პროფესიული განათლება ქვეყანას მეტ პროფესიონალს სძენს და მეტ ახალგაზრდას ეძლევა დასაქმების შესაძლებლობა. მხარდამჭერი კერძო კომპანიებისთვის კი ეს კარგი შანსია, უფრო მეტი ახალგაზრდა პროფესიონალი მიიზიდონ და დაასაქმონ.



სამოდელო გაკვეთილი

პირდაპირი და ირიბი ბრძანებითი წინადადებები

გაკვეთილის გეგმა

საგანი: ინგლისური
სწავლების საფეხური/კლასი: VI
მოსწავლეთა რაოდენობა: 6 (სსსმ მოსწავლე კლასში არ ირიცხება)
გაკვეთილის თემა:
Grammar: Reported Commands

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლემ შეძლოს, კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებით, ამოიცნოს პირდაპირი ნათქვამი (ბრძანება) და გადაიყვანოს ის ირიბ თქმაში;
- ასევე, დამოუკიდებლად მოახდინოს პირდაპირი და ირიბი ბრძანებითი წინადადებების ფორმულირება;
- სათანადოდ გამოიყენოს სხვადასხვა შინაარსის *(თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი)* მქონე წინადადებები;
- შეძლოს ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა და საკუთარი წვლილის შეტანა ჯგუფური სამუშაოს შესრულებაში.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1.	**ორგანიზაციული საკითხების მოგვარება** – მასწავლებელი ესალმება კლასს, ამოწმებს კლასში მოსწავლეთა დასწრებას და ავსებს ჟურნალს. შემდეგ იგი, პროექტორით, მთელ კლასს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს, აქტივობებს, კლასის ორგანიზების ფორმებს, შეფასების საგანს და შეფასების რუბრიკებს. უსვამს მოსწავლეებს ინსტრუქციის დამაზუსტებელ შეკითხვებს. ფლიპჩარტზე გაწერილ გაკვეთილის მიზნებს და შეფასების რუბრიკებს აკრავს თვალსაჩინო ადგილას.	ვერბალური ახსნა კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	ჟურნალი, პროექტორი, ლეპტოპი, ფლიპჩარტი. შეფასების რუბრიკები დანართი 1.1 დანართი 1.2	3-5წთ
2.	**ყინულის გალღობა – „კითხვა პასუხი სურათის მიხედით“** მოსწავლეებს ეკრანზე ვუჩვენებ ორ ფოტოსურათს PPT პრეზენტაციიდან (სურათები ელექტრონულ ფორმატშია დამზადებული მოსწავლეთა წიგნებში მოცემული სავარჯიშოს მიხედვით: English World 6 p.51-Ex: 1). მოცემული სურათები მოსწავლეებისთვის უკვე კარგად ცნობილი იგავ-არაკის „დათვი და ორი მგზავრი“ მიხედვითაა. ვთხოვ, ამოიკითხონ წინადადებები, რომლებიც მოცემულია სიტყვების „ბაბლებში-callouts“და ვთხოვ, უპასუხონ შეკითხვებს: • რომელი ნაწარმოების სცენებია გამოსახული სურათებზე და ვინ არიან გმირები? • რა ჰქვია ფორმებს, კომიქსზე, სადაც პერსონაჟების საუბარია გადმოცემული? • ჩვეულებრივ რას აღნიშნავს ისინი? (პირდაპირ ნათქვამს).	ინტერაქტიული პრეზენტაცია	საერთო საკლასო	ლეპტოპი, PPT	5-7წთ
3.	**ვიდეოახსნა:** მოსწავლეებს გავახსენებ რა არის ირიბი თქმა და განვუმარტავ, რომ ჩვენი მიზანია, ვისწავლოთ თუ როგორ გადავიყვანოთ პირდაპირი ბრძანება/თხოვნა ირიბ თქმაში. ამის შემდეგ ვაყურებინებ ვიდეოახსნას თუ რა არის ირიბი თქმა ზოგადად და როგორ ვაწარმოოთ ბრძანებითი წინადადებები ირიბ თქმაში. ვიდეოახსნის შემდეგ, მოსწავლეებს ვთხოვ, ირიბ თქმაში, მორიგეობით, გადაიყვანონ სურათზე მოცემული მგზავრების დიალოგი. მოსწავლეებისგან მიღებული ვერსიების გადამოწმება ხდება მონიტორზე მოცემული სწორი ვერსიების საშუალებით – PPT (სლაიდზე ასევე მოცემულია რამდენიმე კომიქსის სცენა, სადაც მოსწავლეებმა წინადადებები უნდა გადაიყვანონ პირდაპირიდან ირიბში და პირიქით).	ვიდეოახსნა ინტერაქტიული პრეზენტაცია	საერთო საკლასო	ლეპტოპი, პროექტორი, ვიდეოპრეზენტაცია https://www.youtube.com/watch?v=fyZfQd0s52Y ვიდეოს დაჭრილი ვერსია 00.27-1.50წთ; PPT; დანართი 3.1	6-7წთ
4.	**სპინერი** – მოსწავლეებს ვთხოვ, რიგრიგობით ამოიღონ პატარა ყუთიდან რიგითობის განმსაზღვრელი საშლელები, სადაც დატანილია ინგლისური ანბანის ასოები – A, B, C, D, E, F; ამის შემდეგ ვთხოვ, ამავე რიგის დაცვით, დაატრიალონ სპინერი და ამოიღონ ბარათი, რომელიც სპინერის ფერადი ბოლოს ქვემოთაა მოცემული. მოსწავლემ ბარათზე მოცემული პირდაპირი ნათქვამი უნდა გადაიყვანოს ირიბ თქმაში.	დიდაქტიკური თამაში – აქტივობის ბარათები	ინდივიდუალური	ხელნაკეთი რესურსი – სპინერი დანართი 4.0	3-4წთ
5.	**შესაბამისობის დავალება** – მოსწავლეებს ვყოფ ორ ჯგუფად, განვუსაზღვრავ დავალების შესრულების დროს, შევახსენებ შეფასების რუბრიკას, შეფასების საგანს და ვაძლევ ორ დაფას (ხელნაკეთი რესურსი), რომლებზეც დატანილია შესაბამისობის დავალება სასკოლო წიგნებიდან (English World 6 p.51-reported commands, Ex: 2).	შესაბამისობის დაფა	ჯგუფური	ხელნაკეთი რესურსი დანართი 4.1	5-7წთ
	მოსწავლეებმა, მათ მიერ წინასწარ დამზადებული რეზინის სამაჯურებით (რომელიც მათ ასაკში ძალზე პოპულარულია), უნდა დააკავშირონ ერთმანეთთან წინადადებები (პირდაპირი და ირიბი ნათქვამი). დავალების დასრულების შემდეგ, ჯგუფებს ვუცვლი დავალების დაფებს და მოსწავლეები, ეკრანზე მოცემული სწორი პასუხების საშუალებით, ასწორებენ მეორე ჯგუფის შესაბამისობის დავალებას და სმაილების მიკვრით ინიშნავენ სწორი პასუხების ოდენობას.				
6.	**მეხსიერების თამაში – დაიმახსოვრე ბრძანება** ერთი მოსწავლე გამოდის კლასის წინ და სხვა მოსწავლეები მორიგეობით ეუბნებიან თითო ბრძანებით წინადადებას. ვაძლევ მითითებას, რომ ეს ბრძანებითი წინადადებები იყოს მრავალფეროვანი (გამოხატავდეს: თხოვნის, ზრდილობიანი თხოვნის, რჩევის, აკრძალვის ფორმას – request, polite request, advice, banning).	დიდაქტიკური თამაში	ჯგუფური		5-7წთ
7.	**შეფასება – Menti.com** მოსწავლეებს ვთხოვ, გამოიყენონ ტელეფონები და გუგლის საძიებო ველში ჩაწერონ ელექტრონული მისამართი Menti.com, სადაც მოცემულ ფანჯარაში წერენ ჩემ მიერ მითითებულ კოდს: 224379. მოსწავლეებს ტელეფონშივე ექნებათ დავალება, რომ გაკვეთილი 3 ზედსართავი სახელით დაახასიათონ. მათ მიერ გაცემული პასუხები, პროექტორის ეკრანზე, სიტყვის ღრუბლის სახით აისახება.	შეჯამება	ინდივიდუალური	ტელეფონი დანართი 7.1	2-3წთ
8.	**საშინაო დავალება:** Workbook p,34 Ex.1,2,3 Reported Commands	ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	მოსწავლის სამუშაო რვეული	1-2წთ
9.	შევაჯამებ გაკვეთილს, გავახსენებ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკას და შევაფასებ მოსწავლეებს.	კონსტრუქციული უკუკავშირი	ინდივიდუალური	შეფასების რუბრიკები	2-3წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

უცხ.დ.VI.23. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკულ მოვლენებში გასარკვევად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

- კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცნობს ენობრივ მექანიზმებს;
- იყენებს ამოცნობილ მექანიზმებს.

უცხ.დ.VI.24. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელებთან, მასწავლებელთან და ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვებს აცდის პასუხს;
- კამათისას ყურს უგდებს განსხვავებულ მოსაზრებებს;
- ეთათბირება თანაგუნდელებს ფუნქციების, სამუშაოს განაწილების თაობაზე;
- თავისი წვლილი შეაქვს დასმული ამოცანის გადაჭრაში.

უცხ.დ.VI.17. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევები.

- სათანადოდ იყენებს სხვადასხვა შინაარსის *(თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი)* მქონე წინადადებებს.

ხელმოწერა: //////
შეფასება: განმსაზღვრელი
(მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და/ან რუბრიკები თან უნდა ერთვოდეს გეგმას)

დანართი 1.1

შეფასების კრიტერიუმები	მიღწევის დონეები		
	1	2	3
გრამატიკული ერთეულების ამოცნობა, გამოყენება	უჭირს მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცნოს პირდაპირი ნათქვამი და გადაიყვანოს ირიბ თქმაში.	ნაწილობრივ ახერხებს მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცნოს პირდაპირი ნათქვამი და გადაიყვანოს ირიბ თქმაში.	კარგად შეუძლია მაგალითებზე დაკვირვებით პირდაპირი ნათქვამის ამოცნობა და გადაყვანა ირიბ თქმაში.
გრამატიკული ერთეულების დამოუკიდებლად წარმოება და გამოყენება მეტყველებაში	ვერ ახდენს პირდაპირი და ირიბი წინადადებების ფორმულირებას და მის გამოყენებას მეტყველებაში.	შეუძლია დამოუკიდებლად პირდაპირი და ირიბი წინადადებების ფორმულირება, ასევე, მისი გამოყენება მეტყველებაში.	
გაკვეთილზე ჩართულობა	იშვიათად ერთვება საგაკვეთილო პროცესში.	საგაკვეთილო პროცესში ზოგჯერ ჩართულია, უჭირს ყურადღების მობილიზება სამუშაოზე.	ყოველთვის მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში, კონცენტრირებულია სამუშაოზე.
ჯგუფური მუშაობა	იშვიათადაა ჩართული ჯგუფურ მუშაობაში, არ თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან. ვერ იცავს დროის ლიმიტს.	აქტიურადაა ჩართული ჯგუფის მუშაობაში, თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან. იცავს დროის ლიმიტს.	

საგოდელო გაკვეთილი

დანართი 1.2

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია			
თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები)			
წარადგენს ნამუშევარს			
იცავს დროის ლიმიტს			

დანართი 3.1

ვიდეოახსნა: https://www.youtube.com/watch?v=fyZfQd0s52Y

ვიდეოს დაჭრილი ვერსია 00.27-01.50წთ.

დანართი 4.1



დანართი 7.1

სიტყვების ღრუბლის საბოლოო სავარაუდო ნიმუში:

დანართი 4.0



რუსუდან კარკაძე
ქუთაისის შპს №1 სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი

კონკურსი უფროსკლასელთათვის — 2019

„ჩემი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები“

უფროსკლასელთა კონკურსი უკვე მეექვსედ ტარდება და წარმატებულ ტრადიციად ჩამოყალიბდა. ყოველ წელს იცვლება კონკურსის თემა. წლევანდელი კონკურსის თემაა **„ჩემი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები“**.

ჩვენი კონკურსები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში სკოლის მოსწავლეების ინტელექტუალური რესურსის წარმოჩენის და დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების გაძლიერების შესანიშნავი საშუალებაა.

კონკურსის მიზანია: საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების, მათი ოჯახის წევრების, პედაგოგებისა და ადგილობრივი თემის ჩართვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი სახალხო დღესასწაულების მოძიებასა და ფიქსაციაში.

ჩატარების ვადა: კონკურსი ტარდება 2019 წლის თებერვლიდან ივნისამდე. ინფორმაცია კონკურსის თაობაზე გავრცელდება გაზეთ „ახალი განათლებით“ და სხვა საინფორმაციო საშუალებებით. ასევე ელფოსტის საშუალებით მიეწოდებათ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს.

განხორციელების მეთოდოლოგია: პირველ ეტაპზე სკოლებმა ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com უნდა გადმოგზავნონ საკონკურსო მასალა, რომელიც შეიცავს ხალხური დღესასწაულის ზედმიწევნით ზუსტ აღწერას და დღესასწაულის ამსახველ ფოტომასალას (სასურველია აუდიო/ვიდეო).

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს – ინდივიდუალურად და ჯგუფურად, პედაგოგის ხელმძღვანელობით.

ექსპერტების კონსულტაციების გათვალისწინებით, შესწორებული და შერჩეული ტექსტური ფაილების მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გამოსცემს ილუსტრირებულ კრებულს, რომელიც, სხვა სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად, გამარჯვებულ მოსწავლეებს საზეიმოდ გადაეცემათ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაზეთის „ახალი განათლება“, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის, თემაზე: **„ჩემი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები“** (* არ იგულისხმება საეკლესიო კანონიკური დღესასწაულები).

კონკურსის მიზანია:

- ➢ გამოავლინოს და დააფიქსიროს დღემდე, ამჟამად ყოფაში არსებული და უხუცესების მეხსიერებაში შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი ხალხური დღესასწაულები;
- ➢ გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- ➢ დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ➢ ხელი შეუწყოს ძველი ქართული ხალხური დღესასწაულების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოეწყობა ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი

გულისხმობს სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

საინტერესო ნამუშევრების წარმდგენნი გადავლენ მეორე ეტაპზე.

მეორე ეტაპი

მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეები, საჭიროებისამებრ, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან მათ.

კონკურსის გამარჯვებულებს გამოავლენს სპაციალურად შექმნილი ჟიური.

საკონკურსო თემის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. Word-ის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;

2. მოსწავლეების მიერ აღწერილი დღესასწაულის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (3-5), ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს თემასთან ერთად, მაღალი რეზოლუციის jpg ფორმატში და იყოს დასათაურებული;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას (3-5), გადმოგზავნილს ასევე მაღალი რეზოლუციის jpg ფორმატით;

4. შეძლებისდაგვარად, დღესასწაულის ამსახველ აუდიო/ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებული იქნას მობილური ტელეფონით).

შესაძლებელია **ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლის თხრობის მიხედვით;**

შესაძლებელია მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად, საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com
- ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,
- ან მოგვაწოდოს ფოსტით, მისამართზე: თბილისი, 0105 თაბუკაშვილის ქ. №5. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“.

ნამუშევრის აღწერა:

ნამუშევარი შესრულებული უნდა იყოს Word Document ფაილში და უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერს:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *ხალხური დღესასწაულის დასახელება;*
2. ავტორი მოსწავლის/ეების – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი);*

6. ნიმუშის აღწერა.

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული დღესასწაული – *მოკლე განმარტება მის შესახებ;*
- სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*
- ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ დღესასწაულში;*
- ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რა სეზონურობით ტარდება დღესასწაული;
- *რას უკავშირდებოდა აღნიშნული სახალხო დღესასწაული;*
- *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული სახალხო დღესასწაულის გამართვისათვის;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ელემენტის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;*
- *ზედმიწევნით აღწერეთ სახალხო დღესასწაულის მსვლელობის პროცესი.*

სპეფიციკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნიმუშს შეიძლება ახლდეს შესაბამისი ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა.

გადმოგზავნის ვადაა 2019 წლის 25 აპრილი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
599 08 40 03
aramaterialuri@yahoo.com
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო
მაკა თაქთაქიშვილი

უმაღლესი განათლება

თუ მასწავლებელი არ გყავს, ქვეყანას ვერ ააშენებ

როგორ უნდა მოხდეს ახალგაზრდა კადრების სკოლებში შეყვანა და რამდენად უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სისტემა მათ მომზადებას – გვესაუბრება ქეთევან ჭკუასელი, თსუ-ს პედაგოგიკის ინსტიტუტის პროფესორი.

– ცოტა ხნის წინ, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა განაცხადა, რომ შეცდომა იყო პედაგოგიური უნივერსიტეტის გაუქმება. როგორ ფიქრობთ, შეაფერხა თუ არა ამ გადაწყვეტილებამ კვალიფიციური კადრების მომზადება?

– ვიდრე ამ კითხვებზე გიპასუხებდეთ, ხომ არ იქნება საინტერესო, დაისვას კითხვა – რა ისტორიული მეხსიერება აქვს ქართულ სახელმწიფოს მასწავლებლის მომზადების საკითხთან დაკავშირებით. თან ერთგვარი ექსკლუზიური ინფორმაცია იქნება, რაც აქამდე ამ ფორმატით არ დაბეჭდილა...

ამისათვის აუცილებელია განვმარტოთ, რა არის პედაგოგიური ინსტიტუტის მიზანი, რატომ შეიქმნა პედაგოგიური ინსტიტუტები და რატომ გაუქმდა ისინი.

პედაგოგიური ინსტიტუტის მიზანი მასწავლებელთა კორპუსის მომზადებაა. ისტორიულად, საყოველთაო განათლების აღიარებამ, ცხადია, მოიტანა მასწავლებელთა დიდი რაოდენობის საჭიროება, რასაც ვეღარ უზრუნველყოფდა იმ დროისთვის არსებული **სამასწავლებლო სასწავლებლები.** პირველი პედაგოგიური ინსტიტუტები მთელ მსოფლიოში უნივერსიტეტებთან არსებობდნენ (როგორც მასწავლებლის მომზადების პროგრამები) და იქ სწავლა არჩევით ხასიათს ატარებდა. ვისაც მასწავლებლობა სურდა, გარკვეული რეგულაციებით, ძირითადი სპეციალობის პარალელურად ან შემდეგ, უნდა გაევლო მასწავლებლობის პროგრამაც ამ ტიპის პედინსტიტუტში. თუმცა ეს ინსტიტუტები ცალკეც არსებობდა, მაგ., საქართველოში, სამასწავლებლო ინსტიტუტი, 1866 წელს გაიხსნა, სადაც სწავლა 3-4 წელი გრძელდებოდა.

1918 წელს პირველი ქართული უნივერსიტეტი დაარსდა. იმდროინდელი მთავრობა, ცხადია, სერიოზულად ფიქრობდა მასწავლებლის მომზადების საკითხებზე და უკვე 1919 წელს, მსგავსად მსოფლიოში არსებული გამოცდილებისა, უნივერსიტეტთან გახსნა **პედაგოგიური/საპედაგოგიო/ინსტიტუტი**, რომელსაც დიმიტრი უზნაძე ხელმძღვანელობდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ ინსტიტუტისადმი მთელი პროფესურისა და ინტელიგენციის ყურადღება იყო მიმართული, ის სპეციალური ზრუნვის საგანი იყო, ვინაიდან ყველამ კარგად იცოდა, რომ **თუ მასწავლებელი არ გყავს, ქვეყანას ვერ ააშენებ.** 1921 წლიდან საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილია. საბჭოთა კავშირი სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინრობის თვალსაზრისით. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მასწავლებელთა კორპუსის ჩამოყალიბებასა და გაზრდას. ამიტომ ქვეყანაში მასწავლებლის მომზადების სხვადასხვა გზა არსებობდა. **დაწყებითი სკოლის მასწავლებელს,** როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის პროფესიული სასწავლებლები და ქალთა **უმაღლესი** კურსები (თბილისში 1909 წ. გაიხსნა, ითვლება, რომ ის პირველი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში) ამზადებდა, ხოლო **საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებელს,** როგორც წესი, **უნივერსიტეტები ამზადებდნენ და, ამასთან, სავალდებულო წესით.** ანუ, თუ შენ უნივერსიტეტის სტუდენტი იყავი, ძირითად სპეციალობასთან ერთად, აუცილებლად უნდა გაგეევლო პედაგოგიურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები, პედაგოგიური პრაქტიკა (კურიკულუმის 11%) და უნივერსიტეტის დასრულებისას გენიჭებოდა როგორც ძირითადი სპეციალობის სპეციალისტის, ასევე მასწავლებლის წოდება ამ სპეციალობაში. მალე გახდა ნათელი, რომ მზარდი განათლების პირობებში, მასწავლებელთა ამ კადრის რაოდენობა სრულიად არასაკმარისია და 30-იან წლებში საბჭოთა მთავრობამ მთელი ქვეყნის მასშტაბით უამრავი პედაგოგიური ინსტიტუტი გახსნას, ჯერ 4-წლიანი, ხოლო შემდეგ 5-წლიანი სწავლებით. **პედაგოგიური ინსტიტუტები ამზადებდნენ სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელებს და სრული საშუალო სკოლის მასწავლებლებს ყველა საგანსა თუ საგნობრივ ჯგუფში.** 1935 წლიდან საქართველოს 8 ქალაქში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტები (თბილისი, ქუთაისი, გორი, თელავი, ცხინვალი, ბათუმი, სოხუმი, ზუგდიდი), რომელთა ჩამოყალიბებასა და გამართვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თაოსნობდა, ბუნებრივია, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის /1929წ./, მეცნიერებათა აკადემიის და ქვეყნის მთელი ინტელიგენციის მონაწილეობით. კიდევ ერთს დავამატებ, რათა ნათელი გახდეს პედაგოგიური ინსტიტუტების გახსნისა და არსებობის აუცილებლობა. **ყველა პედაგოგიური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, სახელმწიფოს მიერ, სავალდებულო წესით ინიშნებოდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მასწავლებლად და თავდაპირველად, ამ ვალდებულებისგან გათავისუფლება საკმაოდ რთული იყო.** შემდგომში, კადრის დაგროვებასთან ერთად, 70-იანი წლებიდან, ეს რეჟიმი მოსუსტდა, მაგრამ უმუშევარ მასწავლებელთა არმიაც გაიზარდა. ვფიქრობ, გასაგებად გამოვხატე, რომ **პედაგოგიური ინსტიტუტების გახსნა პედაგოგიური კადრის დეფიციტმა გამოიწვია და სახელმწიფოს ნება და მხარდაჭერაც მასწავლებლის მომზადების პროცესისადმი სერიოზული იყო, რაც, თავისთავად, პროფესიასაც პრესტიჟულს ხდიდა.**

ახლა მივუბრუნდეთ მინისტრის განცხადებას, რომ **შეცდომა იყო პედაგოგიური უნივერსიტეტის გაუქმება.** ისმის კითხვა, ვინ გააუქმა და რატომ? ასეთი სახელმწიფო რეგულაცია არ არსებობს. ეს უფრო სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკის საკითხია უმაღლესი განათლების სფეროში 90-იან წლებში, როცა სახელმწიფო ვეღარ აფინანსებდა უმაღლეს სკოლას და ამიტომ დათმო სადავეები. თითოეულ ინსტიტუტს თავი უნდა გადაერჩინა, მასწავლებლობა არაპრესტიჟული პროფესია გახდა არსებობისთვის, ეს პროფესია ხელისუფლებასაც დაავიწყდა, სულ უფრო და უფრო მცირდებოდა მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი და პედინსტიტუტები (მასწავლებლის მომზადების უმდიდრესი პროგრამული გამოცდილებით) გაქრობის წინაშე დადგნენ. ადამიანებმა, სახელმწიფოს ნებართვით, გამოსავალი იპოვეს – პედაგოგიური ინსტიტუტები უნივერსიტეტებად გადაკეთდა. სხვათა შორის, პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმაც შეიცვალა სტატუსი, ვინაიდან მაშინ, ინჟინრობაც არაპრესტიჟული იყო. კითხვის მეორე ნაწილს – **შეაფერხა თუ არა ამ გადაწყვეტილებამ კვალიფიციური კადრების მომზადება? –** ვუპასუხებდი, რომ კვალიფიციური კადრის მომზადება დღეს საქართველოში, როგორც საერთაშორისო კვლევები მოწმობს, ნამდვილად შეფერხებულია, მაგრამ ამის მიზეზი ინსტიტუტების გადაკეთება არ არის, უნივერსიტეტებიც ვერ ამზადებენ კვალიფიციურ კადრს. მიზეზების ანალიზი ამჯერად ჩვენი მსჯელობის თემა არ არის. მაგრამ პედაგოგობის მსურველთა რაოდენობა ნამდვილად სერიოზულად შემცირდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ უნივერსიტეტებს პედაგოგიური მიმართულება კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებათა რანგში აქვთ, თანაც, უნივერსიტეტის სტატუსი თითქოს უფრო მიმზიდველი უნდა იყოს სტუდენტისათვის, მაგრამ პროფესიის არაპრესტიჟულობას ვერ შველის უმაღლესი სკოლის სტატუსი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგადი განათლების კანონში ცვლილებების ბოლო რედაქციის თანახმად, მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხით, ნაწილობრივ წააგავს პედაგოგიური ინსტიტუტის სწავლების მოდელს, იმ თვალსაზრისით, რომ აბიტურიენტი შემოდის არა რომელიმე სხვა პროგრამაზე, არამედ მასწავლებლის მომზადების ხუთწლიან პროგრამაზე სასურველი საგნის მიხედვით. ანუ, აბიტურიენტი არჩევანს თავიდანვე აკეთებს მასწავლებლის პროფესიაზე ისე, როგორც პედაგოგიური ინსტიტუტის არჩევანს აკეთებდა. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს მოდელი საგრძნობლად მაინც ვერ გაზრდის მასწავლებლობის მსურველთა რაოდენობას.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა მოხდეს ახალგაზრდა კადრების სკოლაში შეყვანა თუკი სქემა არ აღიარებს მაინორ პროგრამაგავლილებს პედაგოგებად? მაშინ რა ფუნქცია აქვს ამ პროგრამებს და სად საქმდებიან ისინი?

– მასწავლებლის მომზადების გაცილებით უკეთესი მოდელია, საქართველოს ზოგადი განათლების კანონის მიხედვით, **მუხლი 21/3,** პუნქტი: დ) /მასწავლებლებს/ უნდა ჰქონდეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია**.

ეს პუნქტი ეხება ამა თუ იმ საგნის საგანმანათლებლო პროგრამის დამატებით – minor- პროგრამას და ადასტურებს, რომ თუ სტუდენტი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის **სწავლის ფარგლებში /240 კრედიტის ფარგლებში/** გაივლის მასწავლებლის **60-კრედიტიან** პროგრამას და დადგენილი წესით ჩააბარებს გამოცდას შესაბამის საგანში, მას ექნება მასწავლებლობის უფლება. ეს ნიშნავს, რომ **სახელმწიფოს არ აქვს დანახარჯი მასწავლებლის მომზადების ამ მოდელში, ასევე, სტუდენტიც არ იხდის დამატებით გადასახადს და, ამასთანავე, სტუდენტს არ ეხარჯება ზედმეტი დრო.** მან მაინც უნდა გაიაროს ის 60 კრედიტი თავისუფალი საგნების ფორმატით, სხვაგვარად ვერ დაამთავრებს ბაკალავრიატს. რატომ არ ერჩივნება მას გაიაროს მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა და ბაკალავრიატი დაასრულოს მასწავლებლობის უფლებით? ამას პრაქტიკაც ადასტურებს. **უნივერსიტეტები minor პროგრამის ფარგლებში საკმაო რაოდენობის მასწავლებლებს ამზადებენ.** თუმცა აქაც არის სამუშაო საგნების მიხედვით. მაგ., დაბალია მოთხოვნა საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლობაზე და, ვფიშობთ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამედროვე საგამოცდო პოლიტიკა კიდევ უფრო შეასუსტებს მასწავლებლობის მსურველებს ამ სფეროში, რომ აღარაფერი ვთქვათ აბიტურიენტებზე. რაც შეეხება სქემას, იგი აღარ განსაზღვრავს პროფესიაში შესვლის პირობებს. ასე რომ, კანონის ამგვარი ფორმულირების პირობებში, ვერავითარი სქემა ვერ აუკრძალავს პირს მასწავლებლობას. საქმე ისაა, რომ არც პროფესიულმა და არც ფართო საზოგადოებამ არაფერი ვიცით რას გეგმავს განათლების სამინისტრო. განათლების სამინისტრო თვლის, რომ რეფორმის /უკვე მერამდენე?/ყველა საკითხი თავად, პროფესიული საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად უნდა გადაწყვიტოს და ფაქტის წინაშე დაგვაყენოს. რბილად რომ ვთქვათ, მართვის ამ მოდელით ხელმძღვანელობა უხერხულია თანამედროვე საზოგადოებაში. ამ ფონზე, როგორღა უნდა ვიფიქროთ მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობის ამაღლებაზე? თუ მისი აზრი არავის აინტერესებს, მის გარეშე წყვეტენ სწავლა/აღზრდის იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლის უშუალო აღმსრულებელიც იგია?

– საკმარისია თუ არა კვალიფიციური კადრის მომზადებისთვის შეთავაზებული 60-კრედიტიანი პედაგოგიური მაინორ პროგრამა და თუ არა, მაშინ რა უპირატესობა აქვთ ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს?

– საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში, პროფესიაში შესვლის რამდენიმე გზა არსებობს და ეს ძალიან კარგია. ზემოთ ორ გზაზე ვისაუბრეთ, ხუთწლიან პროგრამასა და minor პროგრამაზე; რომელს აირჩევს, სტუდენტის გადასაწყვეტია. ვისაც უნდა უნივერსიტეტი ერთჯერადი გამოცდებით და ხუთწლიანი სწავლით მაგისტრის დიპლომით დაამთავროს, ის 300-კრედიტიან პროგრამას აირჩევს, მაგრამ მას მხოლოდ მასწავლებლობის უფლება ექნება და სხვა სპეციალობას (მაგ. ისტორიკოსის) ამ ხუთ წელიწადში ვერ მოიპოვებს. ვისაც ორივე სპეციალობა უნდა, minor პროგრამას აირჩევს, რომლის უპირატესობაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. კიდევ არსებობს მასწავლებლის მომზადების **დამოუკიდებლად არსებული 60-კრედიტიანი პროგრამა,** რომელზეც სწავლა შეუძლიათ მათ, ვისაც ბაკალავრიატი ან თუნდაც მაგისტრატურა დამთავრებული აქვთ და შესაბამის საგნის გამოცდაზეც დაუდასტურებიათ კომპეტენცია. როცა საუბრობთ 60-კრედიტიანი პროგრამის საკმარისობის შესახებ, მინდა გითხრათ, რომ ეს 60 კრედიტი მხოლოდ პედაგოგიურ/ფსიქოლოგიურ/მეთოდიკური დისციპლინები და პედაგოგიური პრაქტიკაა, საგანს ამ პროგრამაზე არ სწავლობენ. საგნის კომპეტენცია დადასტურებული აქვთ გამოცდის სახით ან 60 კრედიტის პარალელურად გადიან ბაკალავრიატში. ამას გარდა, სახელმწიფო დოკუმენტში „მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებელი“ განერილია ის ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც მასწავლებელს უნდა გააჩნდეს პროგრამის დასრულების შემდეგ. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა, რამდენკრედიტიანიც უნდა იყოს, ვალდებულია განეროს იქ წარმოდგენილი სწავლის შედეგები. სხვაგვარად, პროგრამა აკრედიტაციას ვერ გაივლის. ასე რომ, შიში რომელიმე პროგრამის ავკარგიანობაზე უსაფუძვლო მგონია. პროფესიაში შესვლის სხვადასხვა გზა აუცილებელია მოქალაქის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და მინიმალურ პრობლემებს უქმნის მასწავლებლის პროფესიით დაინტერესებულ პირს. ჩვენი უნივერსიტეტის გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგად მუშაობს ორივე – დიდი ინტერესია როგორც მასწავლებელთა მომზადების minor, ისე დამოუკიდებლად არსებულ 60-კრედიტიან პროგრამაზე.

– რატომ უნდა აირჩიოს სტუდენტმა მაინორად თქვენი პროგრამა? რა არის თქვენი ფაკულტეტის ფუნქცია?

– ჩვენი მიმართულების ფუნქცია ძირითადად ორ მსხვილ კომპონენტად ჩაიშლება – მასწავლებლების და განათლების მეცნიერებების სპეციალისტების მომზადება. ვისაც აინტერესებს ან ერთი, ან მეორე სპეციალობა, ჩვენი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ყველა ფორმატის პროგრამას სთავაზობს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დამატებითი (minor) ბაკალავრიატის 240 კრედიტში ინტეგრირებული სამასწავლებლო 60-კრედიტიანი პროგრამა იძლევა უნიკალურ შანსს, სტუდენტს დიპლომით მიენიჭოს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია და, იმავდროულად, თუკი ეს საგანი კორელაციაშია ესგ-ით გათვალისწინებულ ძირითად საგნობრივ ჯგუფებთან, მიეცეს უფლება, საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების შემთხვევაში, უფროსი მასწავლებლის სტატუსით შევიდეს ნებისმიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. რაც შეეხება უშუალოდ ჩვენი დამატებითი პროგრამის არჩევას, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ჩვენი ძლიერი მხარეა მასწავლებლის მომზადების პროგრამების განხორციელების კოლოსალური გამოცდილება, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, იმავდროულად, მოქმედი პედაგოგია ან აქვს სკოლაში სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. ასევე, ნაყოფიერად ფუნქციონირებს პედაგოგიური პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი, რაც ითვალისწინებს როგორც სააუდიტორიო, ისე თბილისისა თუ რეგიონის სკოლებში (100-მდე სკოლასთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები) აქტიურ პედაგოგიურ პრაქტიკას. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ თსუ-ის ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც ბაკალავრიატში სწავლის პროცესში თავის არჩევანს შეაჩერებს მასწავლებლობაზე, სწორედ minor პროგრამის საშუალებით შეძლებს ღირსეულად დაეუფლოს პედაგოგის ურთულეს და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობის პროფესიას.

თუ პათეტიკურობაში არ ჩამომართმევთ, ვიტყოდი, რომ რეგიონული თუ საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური გამოწვევების წინაშე მყოფი ჩვენი ქვეყანა თავისი განვითარების საკმაოდ გარდამტეხ ფაზაში იმყოფება. ეს პროცესები თავისთავად აისახება განათლების სექტორზეც, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, უკეთესის სურვილს ტოვებს. სწორედ ასეთ ვითარებაში გადაინაცვლებს ხოლმე ძირითადი საყრდენი სკოლასა და სამასწავლებლო კორპუსზე. ისინი მიაჩნია საზოგადოებასა და სახელმწიფოს თავის მიერ დაშვებულ შეცდომებით განპირობებულ შედეგებთან გამმკლავებელ ძალად. ამიტომ არის მასწავლებლობა რთული პროფესია, ამიტომ უნდა აირჩიონ აბიტურიენტებმა მასწავლებლის პროფესია, ამ გზით უნდა ემსახურონ თავიანთი სამშობლოს ყველაზე მნიშვნელოვან საყრდენს.

ესაუბრა ანა ფირცხალაიშვილი

ინფორმაცია

ზრდასრულთა განათლების ახალი სისტემა

განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, კერძო სექტორთან თანამშრომლობით, ახალ პროექტს იწყებს. ახალი ინიციატივა **მიხეილ ბატიაშვილმა** მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს გააცნო, რომლებმაც, თავის მხრივ, გამოთქვეს მზადყოფნა, ხელი შეუწყონ ახალ ინიციატივას, რათა ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ძალა განვითარდეს.

მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტროსა და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობით დაინერგება ზრდასრულთა განათლების ახალი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებას.

გამომდინარე იქიდან, რომ შრომის ბაზრის განვითარების სწრაფი ტემპი, უნარების შესაბამისობის კუთხით, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებს, ახალი კანონისა და ახალი ინიციატივის ფარგლებში, სამინისტრო გეგმავს ისეთი მექანიზმების ამუშავებს, რომლებიც მოსახლეობას მოკლე დროში დასაქმებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

მომზადება-გადამზადების კურსების ფორმალიზების შედეგად:

- კურსდამთავრებულებს მიეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი;
- ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების მიზნით, მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება კერძო კომპანიებსაც შეეძლებათ;
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც მაღალი დასაქმების პოტენციალის მქონე სფეროდ იქნება აღიარებული;
- პროგრამები განხორციელდება პრაქტიკული სწავლების ფორმატით (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება).

შეხვედრაზე, რომელსაც სამშენებლო, მომსახურების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა სფეროების კერძო ბიზნესის დამსაქმებლები ესწრებოდნენ, სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატზე და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, სისტემატურ შეხვედრებზე შეთანხმდნენ.

მსმენელთა რეგისტრაცია აჭარის, სამეგრელოს რეგიონებსა და თბილისში, 25 მარტიდან, სამშენებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით არსებული პროგრამებით დაიწყება, სადაც 400-ზე მეტი თავისუფალი ადგილია.

ხაშურში სპორტული კომპლექსი გაიხსნა

ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე (№103) გაიხსნა ახლად აშენებული მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი, რომელში მომზადებასაც შეძლებს სხვადასხვა სპორტის სახეობის 1500-ზე მეტი სპორტსმენი. ახალ სპორტის სასახლეში კეთილმოეწყო საკალათბურთო, ფუტსალის, საჭიდაო, ძალოსნობის და ფიტნეს დარბაზები. შენობის მეორე სართულზე განთავსებულია საჭადრაკო ოთახი და სატრენაჟორო დარბაზი. დასრულებულია მცირე საკონფერენციო დარბაზისა და კაფესასადილოს მოწყობაც. შენობაში განთავსებულია 40 ადამიანზე გათვლილი სასტუმრო. სპორტული კომპლექსი ყველა თანამედროვე სტანდარტს პასუხობს და ადაპტირებულია შშმ პირებზე.

ასევე, კეთილმოეწყო სპორტკომპლექსის ეზოც, სადაც განთავსებულია მინი-სტადიონი, საჩოგბურთო მოედანი, ავტოსადგომი, რეკრეაციული ზონა. ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე 700 000 ლარი დაიხარჯა.

სპორტული კომპლექსის გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ – განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი, სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში გიორგი ხოჯევანიშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, პარლამენტის წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში შოთა ხაბარელი, გორის მაჟორიტარი დეპუტატი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ასევე ძიუდოში თემურ ხუბულური და სხვადასხვა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები.

სპორტული კომპლექსის მშენებლობა ადგილობრივი ბიუჯეტის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით განხორციელდა. სამშენებლო პროცესი რეგიონული განვითარების ფონდმა განახორციელა. პროექტის ღირებულებამ 2 292 455 ლარი შეადგინა.

ფესვები

„თურმე ერთი წმინდანი, დედა მარია, მთელი ცხოვრება მხოლოდ მცენარეთა ფესვებით იკვებებოდა და როდესაც ჰკითხეს, რატომ იკვებებოდა ფესვებით, განაცხადა, რომ ფესვები უმთავრესია. თქვენ ჩვენი ფესვები ხართ, უკვდავი და სიცოცხლის მომნიჭებელი ფესვები...“ – ამ თბილი და სიყვარულით სავსე სიტყვებით დაიწყო გაზაფხულის პირველი თვის დღესასწაული სათნოების სახლში „კათარზისი“, სადაც მხცოვანი ადამიანების მისალოცად და მხარდასაჭერად მივიდნენ აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

„თქვენ ჩვენ გვჭირდებით“ – ამ სახელწოდებით განხორციელდა საქველმოქმედო შემოქმედებითი საღამო, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილების ინიციატივით. მასში 100-ზე მეტი ბენეფიციარი მონაწილეობდა.

პროექტის მონაწილეებს გაზაფხულის დღესასწაული მიულოცეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, **ვახტანგ ყოლბაიამ**, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, **გია გვაზავამ**, აფხაზეთის მთავრობის კულტურის განყოფილების უფროსმა, **მარინა შენგელიამ**, უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, **თემურ ბჟავიამ**, სახელოვნებო განათლების განყოფილების უფროსმა, **ნინო ნასიძემ**, ჟურნალისტმა, **ნატო კორსანტიამ**, ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, **შალვა ბერიანიძემ**, პოეტმა, **ტარიელ მუმლაძემ**, კათარზისელებმა – **ნონა კაჭარავამ**, **თინათინ ასტანიძემ**, **ნიკო მუმლაძემ** და სხვებმა.

სათნოების სახლის დირექტორის მოადგილემ, **გულიკო რომანიშვილმა**, თავის გამოსვლაში, ხაზი გაუსვა აფხაზეთის მთავრობის უმაღლესი საბჭოს და განათლებისა და კულტურის სამინისტროს განსაკუთრებულ მხარდაჭერას და თანადგომას მარტოხელა და მზრუნველობამოკლებული, ხანდაზმული ადამიანების მიმართ, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ყურადღება და სიყვარული საზოგადოებისა და ახალგაზრდა თაობისაგან. მადლობა გადაიხადა მათ მიმართ გამოჩენილი მატერიალური და სულიერი დახმარებისთვის (მარტის პირველ კვირას კათარზისელებს მასპინძლობა გაუწია აფხაზეთის ა/რ მთავრობამ. აფხაზეთის განათლების სამინისტროს მიერ შეძენილ იქნა სამზარეულოსთვის საჭირო ინვენტარი. კულტურის და ხელოვნების ცენტრმა (ხელმძღვანელი – **ირმა ირემაძე**) კათარზისელებს საჩუქრად 150 სხვადასხვა დასახელების მხატვრული ლიტერატურა გადასცა).

ხანდაზმულ თანამემამულეთა პატივსაცემად გამართულ სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობდნენ: ფოლკლორის ეროვნული სკოლის ანსამბლი „ოდოშხერი“, „კათარზისის“ სიმღერის გუნდი (ხელმძღვანელი – **ილია ნიშნიანიძე**), მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „გაზაფხული“. ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

შეხვედრის დასასრულს ღონისძიების მონაწილეებს, უწმინდესის და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს წარმომადგენელმა, **ნელი ჯიქურმა** საჩუქრად გადასცა ხატები, კელაპტრები, საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, ვახტანგ ყოლბაიამ კიდევ ერთხელ მიულოცა დედის დღე ქალებს და გაზაფხულის ყვავილების თაიგულები მიართვა საჩუქრად. დარბაზში გამოფენილი იყო ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდის, სოხუმელი **საბა ჩიღოშვილის** თემატური ნამუშევრები.

„სიბერე შიში არ არის, მოახლოებული სიკვდილის შიში, სიბერე ახალი სიცოცხლის დასაწყისის პირველი საფეხურია, სიბერე ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი ადამიანების სიბრძნე და გონიერებაა, მაგალითის მიმცემია მომავალი თაობებისთვის, რომლებმაც უნდა გაამთლიანონ, გააძლიერონ და ააღორძინონ ჩვენი სამშობლო...“ – ამ იმედიანი და მშვიდობიანი სურვილებით დასრულდა დღე „კათარზისში“, რომელიც მხცოვან ადამიანებს მიეძღვნა.

იზონერა ბერაია
აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი

P.S. პროექტის ფარგლებში, აფხაზეთის №3 და №2 საჯარო სკოლების უფროსკლასელები და კომპაქტურად ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდობა, სპეციალურად შექმნილი განრიგის მიხედვით, ყოველდღიურად, ორი კვირის მანძილზე, მოემსახურებიან კათარზისელ ბენეფიციარებს.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

2 მარტს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, მოსწავლეთა 73-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ზონალური ტური ჩატარდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს, დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტების მოსწავლე ახალგაზრდობის სახლების, საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.

დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლე ახალგაზრდობის სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობას, მათი ცოდნის დონის ამაღლებას, პრეზენტაციისა და საჯარო გამოსვლის ხელოვნების დახვეწას. საგნობრივი და მსგავსი ტიპის კონფერენციები სწორედ ამ უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ასევე მნიშვნელოვანია აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ძიება, დაზუსტება და ფორმალური მასალის მსმენელამდე მიტანა, თანამოაზრეების მოძიება, მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთთანამშრომლობა – მინი-სამეცნიერო ნაშრომის მომზადება.

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებსა და სასახლეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მოსწავლე ახალგაზრდობის პიროვნული ზრდის, სიახლეების დანერგვის და საზოგადოების სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანია როგორც უფროსების კოლეგიალური, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ასევე თანატოლთგანმანათლებლობის გაძლიერება. ჩვენი რეგიონული კონფერენცია 73-ე რესპუბლიკური კონფერენციის წინა ეტაპი გახლდათ. ვიდრე სექციებში დაიწყებოდა მუშაობა, გამოცდილების გაზიარების მიზნით, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის“ წევრები, **მარიამ** და **ნუცა გაგნიაშვილები** სტუმრების წინაშე საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პროექტებისა და მუშაობის შესახებ პრეზენტაციით წარდგნენ, ესაუბრნენ სხვადასხვა პროექტებზე, რომლებიც „ლიდერთა კლუბის“ ინიციატივით ხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ასევე, პარტნიორებზე, მოხალისეებსა და მოხალისეობრივი აქციების შესახებ.

კონფერენციის მონაწილეებს მიმართეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, **ნელი დალაქიშვილმა**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, **თამარ ლაპიაშვილმა**, სტუმრად მოწვეულმა ახალგაზრდა ისტორიკოსმა, **გიორგი ახალკაციშვილმა**.

კონფერენციაზე 11 საგნობრივი სექცია მუშაობდა. ძალიან საინტერესო თემები იყო წარმოდგენილი. სექციის ხელმძღვანელების მიერ რეცენზირებული ნამუშევრები განსახილველად რესპუბლიკურ კონფერენციაზე გაიგზავნა.

პირველი რეგიონული კონფერენციის დახურვაზე, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დიპლომები და მადლობის ფურცლები გადაეცათ: მონაწილეებს და მათ პედაგოგებს, სექციების ხელმძღვანელებს და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორებს, ასევე, მადლობის ფურცლები და ფასიანი საჩუქრები, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული სამსახურის მიერ დაფინანსდა.

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი მადლობას უხდის კონფერენციის მონაწილეებს, მათ პედაგოგებს და მშობლებს, სტუმრებს საინტერესო და საქმიანი დღისთვის. ჩვენი თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება – პროექტების და პროგრამების განყოფილების მიერ დაგეგმილ პროექტებში, ვფიქრობთ, აქტიურად ჩაერთვებიან სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მოსწავლე ახალგაზრდები.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ
ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

„4 მარტს, ჩვენი სკოლის XI^ბ კლასმა დანიელ სტუმრებს უმასპინძლა. მე მხვდა წილად, სკოლის ისტორია გამეცნო მათთვის და მესაუბრა იმ წარმატებასა და ინოვაციურ მეთოდებზე, პროგრამებსა და პროექტებზე, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი სკოლის საზოგადოებამ – მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა განვახორციელეთ. გამიხარდა, რომ დანიელი მოსწავლეებისთვის ჩვენი საქმიანობა შთამბეჭდავი და საინტერესო იყო. ვიმსჯელეთ სამომავლო პერსპექტივებსა და ერთობლივად განსახორციელებელ გაცვლით პროექტებზე. მადლობა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს, რომ მოგვცა საშუალება, დავახლოებოდით უცხოელ თანატოლებს, გაგვეცვალა ჩვენი შეხედულებები ყველა იმ საკითხსა და პირობაზე, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის. ამ შეხვედრით საგანმანათლებლო გაცვლითი ურთიერთობის ხიდები გავდეთ.“

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ჩვენი ლიტერატურული კლუბის, „წერო 24“-ის ფარგლებში არაერთი საინტერესო, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიება მოგვიმზადებია. ყოველი მათგანი ღრმა ემოციითა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებით გვავსებს. მათგან გამორჩეულია დანიელ სტუმრებთან – პედაგოგებთან და სტუდენტებთან შეხვედრა-დისკუსია. ამ ვიზიტის ფარგლებში, 24-ე საჯარო სკოლამ, კიდევ ერთხელ წარმოადგინა ჩვენი ქვეყანა, მისი განსაკუთრებული კულტურა, ტრადიციები, წარსული და დღევანდელობა. ვფიქრობთ, დანიელი სტუმრები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. როგორც ეს უმეტესობამ აღნიშნა, მათ აქვთ სურვილი საქართველოში კიდევ ერთხელ დაბრუნებისა. ეს გამოწვეულია ყველა იმ აქტივობით, რაც მოისმინეს და იხილეს აქ ყოფნის პერიოდში.

მათთან საუბრისას მივხვდით, ინგლისურს როგორც სამეტყველო, ისე ლიტერატურულ ენას ნამდვილად ვფლობთ. სასიამოვნო იყო თანაკლასელების მოსმენა, რომლებიც გაკვეთილის მსვლელობისას მსჯელობდნენ საქართველოს წარსულსა და მომავალზე, ისტორიულ სიმართლესა და სადღეისო პრობლემებზე. რა თქმა უნდა, ვერ ავცდებოდით ოკუპაციის თემას – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტკივილს. მე, როგორც ერთ-ერთი მხილველი ამ საშინელებისა, მსოფლიოს მოვუწოდებ: მშვიდობა სამყაროს ბედნიერების სიმბოლოა.“

ᲐᲜᲐ ᲛᲐᲛᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ამა წლის 4-6 მარტს ჩვენს სკოლას დანიელი სტუმრები ეწვივნენ. ისინი ინგლისური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს დაესწრნენ. სრულიად მოულოდნელი იყო მათი ვიზიტი და როდესაც გაგვაფრთხილეს, რომ ჩვენს გაკვეთილს მოისმენდნენ, პედაგოგ მაია თურქიაშვილთან ერთად, მოვიფიქრეთ თემატიკა: „საქართველო ევროპასა და აზიას შორის“. ამდენად, ვერ ავცდებოდით ქვეყნის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ კლიმატსა და მდებარეობას, მისი განვითარების ეტაპებს, სახასიათო ნიშნულებსა და რა თქმა უნდა, საქართველოს მისიას ცივილურ სამყაროში. ამ ინფორმაციის მომზადებისას, კიდევ ერთხელ ვირწმუნე ჩემი სამშობლოს უნიკალურობა, თუმცა კარგად გვესმის, რომ ქვეყნის სადღეისო ვითარება ნაკლებად პოზიტიურია. ჯერ კიდევ ბატონი ზურაბ ჟვანიას პრემიერობისას, სწორად იყო გავლებული ნიშნული საქართველოს ადგილისა მსოფლიოს სივრცეში: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი.“ – ეს ფრაზა ნამდვილად ამართლებს.“

ᲜᲘᲜᲝ ᲗᲝᲓᲣᲐ

„დღევანდელი სამყარო ღიაა და უფრო გამჭვირვალე შემეცნებისთვის, განათლებისთვის, კულტურული ურთიერთობებისა და სპორტული ასპარეზობისთვის. უფროსები ხშირად აღნიშნავენ, რომ XXI საუკუნის ახალგაზრდობა თავისუფალი და გაცილებით პერსპექტიულია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ის პირობები, რაც დღეს გვაქვს, სხვა თაობებს ვერც წარმოედგინათ. ამის ნათელი დასტურია, თუნდაც, ჩვენს სკოლაში დანიელი სტუდენტებისა და მათი პედაგოგების მოსვლა. დანიის სტენჰაუზის გიმნაზიის წარმომადგენლები ნამდვილად იმსახურებენ ჩვენს შექებას: განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მოსმენის კულტურა და უცხო გარემოსთან შეგუების პირობა.

მათთან უფრო სხვა დატვირთვით თანამშრომლობა მომიხდა, როგორც ლიტერატურული კლუბის „წერო 24“ კოორდინატორ მოსწავლეს – 2017-18 წლებში განხორციელებული აქტივობების პრეზენტაცია: „XXI საუკუნე და ლაგოდეხის ნაკრძალი“, „კალანდობა 2018“, „ექვთიმე ღვთისკაცი და 24-ე საჯარო სკოლა“, „სერგო ფარაჯანოვი – მსოფლიო მნიშვნელობის რეჟისორი“. სულ სხვადასხვა მიმართულებით წარმოდგენილმა პროექტებმა ისინი მოხიბლა და შეიძლება ითქვას, მოაჯადოვა კიდეც. როგორც აღნიშნეს, ამდენს არ ელოდნენ. ჩვენ კი არ შეგვეძლო ლიტერატურული კლუბის საქმიანობა ქართული ცეკვითა და სიმღერის ფრაგმენტებით არ დაგვესრულებინა, მით უფრო, რომ გოგი დოლიძის, როგორც ოცდამეოთხელის, საშემსრულებლო კულტურა გვინდოდა გვეჩვენებინა.

*მადლობა მინდა ვუთხრა სკოლის დირექციასა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს (დირექტორის – **გიორგი კაკაბაძე**), ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – **მაია თურქიაშვილს**, ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს და, ამავდროულად, კლუბის ხელმძღვანელს – **თამარ ბარისაშვილს.** რომ არა მათი მხარდაჭერა, ჩვენი შესაძლებლობები ამდენს ვერ გასწვდებოდა.“*

ᲚᲘᲙᲐ ᲨᲐᲙᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მედლები, რეკორდები

ლას ვეგასში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდა ძალოსანთა შორის, სადაც მხოლოდ ორი მონაწილე გვყავს, რადგან მესამეს ამერიკულმა მხარემ ვიზა არ მისცა. ჩვენები ასეთი მცირე გუნდითაც წარმატებით ასპარეზობენ. კერძოდ, **გურამ გიორბელიძემ**, რომელიც 67 კილოგრამში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, მცირე ვერცხლის მედალი აკვრაშიც მოიპოვა. ამასთან, აკვრაში და ორჭიდში ნაჩვენები შედეგები ევროპის რეკორდები გამოდგა, ხოლო ატაცში საქართველოს რეკორდი დაამყარა.

გიორბელიძემ აკვრაში გამოსვლა 150 კილოგრამით დაამთავრა და მხოლოდ ყაზახ **საიხან ტაისუევს** ჩამორჩა. სამაგიეროდ, ვერცხლიც დაისაკუთრა და ევროპული რეკორდიც მიითვალა. მესამე ცდაზე მან 152 კილოგრამიც შეუკვეთა, მაგრამ შტანგა ვერ დაიმორჩილა. არადა, ეს წონა მან შარშანაც დასძლია ბაქოში და მაშინაც ჩაეთვლებოდა ევროპული რეკორდი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის ტურნირი ევროპული ფედერაციის სარეკორდო ნუსხაში არ შედიოდა.

ატაცში გიორბელიძემ 120 კილოგრამი დაძლია, რაც მეექვსე შედეგი გამოდგა, მაგრამ ამით საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა (აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდიც მას ეკუთვნოდა). როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს მაჩვენებელი საბოლოო შეფასებაშიც ძალიან დაეხმარა და ორჭიდში 270 კილოგრამი დაუგროვდა, რაც ასევე მეორე შედეგი და ევროპის ახალი რეკორდი აღმოჩნდა, ასევე 2 კილოგრამით გადააჭარბა ძველ მაჩვენებელს. ჩემპიონი ზემოხსენებული ტაისუევი გახდა 288 კილოგრამით, მესამეზე კი თურქმენი **ბეხტიმურ რაიმოვი** გავიდა 269-ით.

ისტორიისკენ ნასროლი ბირთვი

სლოვაკეთის ქალაქ შამორინში ქართული მძლეოსნობისთვის ისტორიული გამარჯვება მოიპოვა გორელმა ბირთვის მკვრელმა, ეროვნული ნაკრების წევრმა, **გიორგი მუჯარიძემ**. შამორინში ჩატარდა ევროპის თასი 23-წლამდელ მძლეოსანთა შორის ტყორცნებში. გორელმა მძლეოსანმა ბირთვი ყველაზე შორს – 20.27 მეტრზე გაიქნია და ოქროს მედალი მოიპოვა.

მართალია, ეს არ იყო პირველხარისხოვანი შეჯიბრება – ევროპის ჩემპიონატი, მაგრამ მაღალი რანგის ტურნირი ნამდვილად გახლდათ. ამიტომაა საყურადღებო მუჯარიძის გამოსვლა და განსაკუთრებით – მის მიერ ნაჩვენები შედეგი.

ხუნჯუამ ისტორია დაწერა

ისტორიული წარმატებების მოპოვებაში სხვებს არც მოკრივეები ჩამორჩნენ – 12 მარტიდან მოყოლებული, ევროპის მედალოსანი 22-წლამდელ გოგონებშიც გვყავს – **ანა ხუნჯუა**.

აღნიშნულ ასაკში ევროპის პირველობა ვლადიკავკაზში მიმდინარეობს, სადაც საქართველოდან ბიჭების 7-კაციან გუნდთან ერთად ერთი გოგონა, ანა ხუნჯუაც გამოდის 54 კილოგრამში. საქართველოს პირველი მედალიც არა ბიჭებმა, არამედ სწორედ მან მოიპოვა – მინიმუმ, ბრინჯაო გაინაღდა, თუმცა ასპარეზობა ჯერ არ დაუსრულებია და არაა გამორიცხული, უფრო მაღალი სინჯის ჯილდოსაც შესწვდეს.

ხუნჯუა ასპარეზობაში 12 მარტს ჩაება და ბელარუსი **ალექსანდრა კარპოვიჩი** დაამარცხა, რითაც, მინიმუმ, ბრინჯაო გაინაღდა. საქართველოს, ქალთა კრივში, ჯერ მსგავსი წარმატება არ მოუპოვებია.

ბიჭებიდან პირველი შეხვედრები უკვე მოიგეს **ოთარ დარბაიძემ** (52) და **არტიუშ გომციანმა** (56), სხვები კი ჯერ არ ჩაბმულან შეჯიბრებაში.

ყინულოვანი ცეკვა

ზამთარი უკვე გავიდა, მაგრამ ზამთრის სპორტის ყველაზე გრაციოზულ სახეობაში – ფიგურულ ციგურაობაში, მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ახლა ჩატარდა და საქართველომ „ყინულზე ცეკვაში“ რამდენიმე ისტორიული წარმატებაც მოიპოვა. თავდაპირველად ეს **მორის ყვითელაშვილმა** გააკეთა – კრასნოიარსკში ჩატარებულ ზამთრის 29-ე უნივერსიადაზე ფიგურულ ციგურაობაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, მსგავსი შედეგი კი აქამდე „თეთრ უნივერსიადებში“ არ გვქონია.

უნივერსიადა ზამთრის სპორტის 11 სახეობაში ჩატარდა, მოციგურავეთა ტურნირში კი 25 ქვეყნის 97 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყვითელაშვილმა ორი პროგრამის ჯამში 258.02 ქულა დააგროვა, რაც, საბოლოოდ, მესამე შედეგი და საქართველოსთვის ისტორიული მიღწევა გამოდგა. თუმცა თავი დავანებოთ ისტორიას და თავად ტურნირიც საკმაოდ ძლიერი იყო, რადგან უნივერსიადაში ბევრი ტიტულოვანი სპორტსმენი მონაწილეობდა. მაგალითად, ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი, რუსი **ალექსანდრ სამარინი** და მისი თანამემამულე, რუსეთის წლევანდელი ჩემპიონი **მაქსიმ კოვტუნი**, აგრეთვე, ცნობილი მოციგურავეები იტალიიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან...

ციმბირში წარმატებული გამოსვლით ყვითელაშვილმა იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა. თუმცა გასულ კვირაში ეს არ ყოფილა ქართველი მოციგურავეების ერთადერთი წარმატება. უნივერსიადის პარალელურად, ხორვატიაში, მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა ახალგაზრდებს შორის, სადაც საქართველოს წარმომადგენლები სამ დისციპლინაში გამოვიდნენ და სამივეში წარმატებით ისრიალეს. მართალია, მედლები ვერ დაისაკუთრეს, მაგრამ აქამდე უპრეცედენტო მიღწევებით დაასრულეს გამოსვლა – მოიპოვეს 2020 წლის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების 3 ლიცენზია და ახალგაზრდების მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის 5 საგზური. ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებს სპორტულ ცეკვებში **მარია კაზაკოვასა** და **გიორგი რევიას** წყვილი დაეუფლა, ინდივიდუალურში, გოგონებში – **ალინა ურუშაძე**, ხოლო ბიჭებში – **ირაკლი მაისურაძე**.

ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს, გაისად 9-23 იანვარს, შვეიცარიული ლოზანა უმასპინძლებს, იქ გამოსვლის უფლება კი ჩვენებიდან, პირველად, სპორტულმა წყვილმა მოიპოვა. კაზაკოვა-რევიას წყვილმა, აჭარულის მოტივებზე, მშვენიერი საცეკვაო პროგრამა დადგა, ტექნიკურადაც კარგად შეასრულეს და 24 ქვეყნის 31 წყვილს შორის, 155.4 ქულით, საპატიო მე-6 ადგილზე გავიდნენ.

ბიჭებში, ერთეულებში, 37 მონაწილე გამოდიოდა, მაისურაძე კი ასევე საპატიო მე-7 ადგილზე გავიდა, თან რამდენიმე ძალიან რთული ნახტომიც შეასრულა და, საბოლოოდ, 217.78 ქულა დააგროვა.

საქართველოს ნაკრებს მესამე ლიცენზია ურუშაძემ მოუტანა, 46 მონაწილეს შორის 157.96 ქულით იმ 12-ს შორის მოხვდა, რომლებმაც ეს საგზურები მიიღეს. აღსანიშავია, რომ ევროპიდან ლიცენზიები მხოლოდ რუსმა მოციგურავეებმა და ურუშაძემ მოიპოვეს, თან მან გაუსწრო იანვარში გამართული ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მედალოსნებს. საინტერესოა, რომ ურუშაძე თვითონაც მონაწილეობდა იმ ფესტივალში და გამოსვლა მეექვსე ადგილზე დაასრულა – საქართველოსთვის ესეც უპრეცედენტო ასპარეზობაა.

აქვე არ შეიძლება, არ შევნიშნოთ ერთი უცნაურობა – ამ ახალგაზრდებს საქართველოში ვარჯიშის საშუალება არ აქვთ, რადგან ქვეყანას არ გააჩნია ყინულის სასახლე, სადაც პროფესიულ სპორტში შეიძლება ვარჯიში. რამდენიმე დარბაზი კი არსებობს, მაგრამ ისინი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, ხოლო ვისაც მაღალი მიღწევები სურს სპორტში, მათ ფედერაცია უცხოეთში აგზავნის სავარჯიშოდ.

უკვე დიდი ხანია საუბრობენ საქართველოში ყინულის დიდი დარბაზის აშენების შესახებ, რომელიც სწორედ პროფესიონალებისთვის იქნება გათვლილი, მაგრამ ამ საქმეს დღემდე არ დაადგა საშველი.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი

~~9 ლარი~~
6 ლარი

ფასდაკლება

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე გარამია

19 ლარი

19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40₾

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა

15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

ასოციაცია „ზეკარი“ წარმოგიდგენთ მასწავლებლის ბიბლიოთეკას

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.